საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 13 მარტი. 2020 წ. №46 (8972) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ჩვენი წილი პანდემია ჩვენვე უნდა დავამარცხოთ!

საქართველოს მთავრობის ყველა ორგანო მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა

ამირან გამყრელიძე:

მოსალოდნელია შემთხვევების სერიოზული ზრდა!

3

შეზღუდვები ქორწილებსა და ქელეხებსაც შეეხება!

ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნების“ წევრები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებს დაეთათბირნენ

პოლიტიკური **გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებელს საქართველოს საკითხებზე – ტიტუს კორლატეანს და ევროსაბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს კრისტიან ურსეს შეხვდა.** პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ შეხვედრაზე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ისაუბრეს.

* * *

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებს შეხვდნენ.

„ჩატარდა უმრავლესობის წარმომადგენლების შეხვედრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფთან, მომხსენებლებთან, რომლებმაც უნდა შეადგინონ მიმდინარე პროცესებზე მოხსენება. შეხვედრა დახურული იყო, განვიხილეთ ყველა სიტუაცია, არსებული გარემოებები და ამ გარემოებების შექმნის წინაპირობები. სასამართლო სისტემაზეც ვისაუბრეთ და იყო ლაპარაკი, რასაკვირველია, საარჩევნო სისტემაზეც, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, პრაქტიკულად ყველა დელეგაცია და მომხსენებელი მიესალმებიან ორი მხარის შეთანხმებას. არ იყო საუბარი იმაზე, ამ მიმართულებით რომელმა პოლიტიკურმა პარტიამ გამოიჩინა მეტი ან ნაკლები ძალისხმევა“, – განაცხადა შეხვედრიდან გამოსულმა გიორგი ვოლსკიმ. პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა ასევე იმ შენიშვნებზეც ისაუბრა, რომელიც შეხვედრაზე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრების მხრიდან გაჟღერდა.

„არის თემები, რომლებიც გამოიწვევს გარკვეულ პოზიციათა სხვაობას. მაგალითად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის შეუსრულებლობა, როდესაც სასამართლო სისტემაში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეარჩია მოსამართლეები. თუმცა ჩვენ განვმარტეთ, რომ პრაქტიკულად არცერთ კანდიდატს არ გაუპროტესტებია მიღებული გადაწყვეტილებები“, – განაცხადა ვოლსკიმ.

70 მილიონი დოლარის აფილრა – შვედური გამოცემა დანაშაულებრივ სქემაში სააკაშვილის, კეზერაშვილის, ცისკარიშვილის და მათ მოკავშირეთა გვარებს ასახელებს

4

მძარცველ ნაციონალთა ყალთაბანდური დოლი

გორში კი სტალინის ძეგლი უნდა დარჩეს!

6

სამჯერ გადასახლებული და ორჯერ დაკრძალული ლეონან გოთუა

8

ოჰ, ეს თაღლითი და არამზადა შალვა ნათელაშვილი

3



ჩვენი წილი პანდემია ჩვენვე უნდა დავამარცხოთ!

საქართველოს მთავრობის ყველა ორგანო მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა

საქართველოს მთავრობა განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში მოცემულია ის ღონისძიებები, რომლებსაც საქართველოს მთავრობა კორონავირუსთან პრევენციასთან დაკავშირებით ახორციელებს.

განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

„საქართველოს მთავრობის განცხადება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა კორონავირუსის პანდემია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო ქვეყანაში არსებული ვითარების და გლობალური სიტუაციის გათვალისწინებით ინტენსიურად მუშაობს და, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოცხადებული პანდემიისთვის მზაობის შესაბამისად, ახორციელებს საკუთარ სამოქმედო გეგმას.

მსოფლიოს მასშტაბით არსებული სტატისტიკის გათვალისწინებით, კოორდინირებული და დროულად მიღებული ზომებით, საქართველოში ვითარება ამ ეტაპზე სტაბილურია. თუმცა, გამოწვევა ძალიან დიდია და თითოეულმა მოქალაქემ უნდა გამოიჩინოს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, როგორც საკუთარი თავის, ასევე — საზოგადოების წინაშე. საქართველოს მთავრობა, განსაკუთრებით ჯანდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, საგარეო, ეკონომიკის, განათლების, ფინანსთა, რეგიონული განვითარებისა თუ სხვა სამინისტროები გადავიდა მუშაობის 24-საათიან საგანგებო რეჟიმზე.

ამჟამად ქვეყანაში დაფიქსირებულია კორონავირუსით დაინფიცირებულთა 24 შემთხვევა, თითოეულ პაციენტს უტარდება სრულფასოვანი სამედიცინო დახმარება, ხოლო დაინფიცირებულ ადამიანებთან შემხებლობაში მყოფი მოქალაქეები გადიან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროტოკოლით გათვალისწინებულ პროცედურებს. სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში რეგულარულად გამოსცემს ახალ გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს სამოქმედო გეგმის შესაბამისად. მათ შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპრევენციო ზომაა დახურულ სივრცეებში მოქალაქეთა ინტენსიური კონცენტრაციისგან თავის არიდება, ამიტომ:

1. საქართველოს მასშტაბით სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში გამოცხადებული არდადეგები პირველ აპრილამდე გახანგრძლივდა;

2. ასევე, ერთი თვით, 13 აპრილამდე გადავადდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა;

3. სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლების ნაწილი დროებით გადადიან დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. კერძოდ, ის თანამშრომლები, რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებულად არ საჭიროებს სამუშაო ადგილზე ყოფნას, საკუთარი სახლიდან, დისტანციურად შეასრულებენ სამუშაოს. ასეთი რეკომენდაცია ეძლევათ კერძო დაწესებულებებსაც. თუმცა, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს უწყებების საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას და არ უნდა აისახოს თანამშრომელთა შრომით ანაზღაურებაზე;

4. პრობაციონერები 14 აპრილის ჩათვლით თავისუფლდებიან პრობაციის ბიუროებში გამოცხადებისა და რეჟიმის ვალდებულების შესრულებისგან. პრობაციის ოფიცერთან დაფიქსირების აუცილებლობა, სოციალურ მუშაკთან ან ფსიქოლოგთან ჩანიშნული სავალდებულო შეხვედრები ამ ეტაპზე გაუქმებულია. 14 აპრილის ჩათვლით, პრობაციის ბიუროში პრობაციონერების გამოუცხადებლობა საპატიოდ ჩაითვლება და მას არავითარი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება;

5. პენიტენციურ დაწესებულებებში ორი კვირის ვადით ამოქმედდა განსაკუთრებული პირობები. ამ პერიოდში ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შეუჩერდათ პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული საოჯახო, ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნებით სარგებლობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, აგრეთვე, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება. ამასთან, განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს შეუჩერდათ დაწესებულების გარეთ, სწავლის ან/და მუშაობის შემთხვევაში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენებისა და უქმე დღეებში გასვლის უფლება. ასევე, განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებაში ახალშესული ბრალდებულები/მსჯავრდებულები განთავსებულნი იქნებიან სხვა ბრალდებულებისგან/მსჯავრდებულებისგან განცალკევებით;

6. დროებით შეწყდეს საქართველოში საგანმანათლებლო, სპორტული თუ სხვა სახის ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია ხალხმრავალ შეკრებასთან.

ამ დროისთვის უკვე შეწყდა: საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი, ასევე ასაკობრივი პირველობები, საქართველოს რაგბის ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატი, ხელბურთელთა ჩემპიონატი, ასაკობრივი საკალათბურთო პირველობების გათამაშება და ა.შ;

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში, 27-29 მარტს გასამართი ძიუდოს გრან პრი, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის (IJF) გადაწყვეტილებით, ოფიციალურად გაუქმდა;

ხოლო 14 მარტს მიხეილ მესხის სტადიონზე დაგეგმილი რაგბი ევროპის ეგიდით გასამართი საქართველო-რუსეთის მატჩი მაყურებლის გარეშე ჩატარდება.

საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს საზღვრის როგორც საჰაერო, ისე სახმელეთო გზით, კვეთისას ფართოვდება შეზღუდვები როგორც საქართველოს, ისე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის: ჩინეთს, სამხრეთ კორეას, ირანს და იტალიას ემატება სხვა ქვეყნებიც და ახლა უკვე გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან და ავსტრიიდან საქართველოში ჩამოსული პირები ვალდებულნი არიან:

ა. წარმოადგინონ კორონავირუსზე (COVID-19) შემოწმების შესაბამისი ცნობა (სპეციფიკური ლაბორატორიული პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (PCR) კვლევა), რომელიც გაცემული უნდა იყოს გამომგზავრების ქვეყნის შესაბამისი ლაბორატორიის მიერ, ხოლო ტრანზიტულად მგზავრობის შემთხვევაში — სატრანზიტო ქვეყნის შესაბამისი ლაბორატორიის მიერ.

ბ. PCR ცნობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მათ უნდა გაიარონ შესაბამისი ეპიდემიოლოგიური შემოწმება და შემდეგ, სავალდებულო 14-დღიანი საკარანტინო პროცედურა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესით. მოვუწოდებთ საქართველოს მოქალაქეებს, გადაუდებელი აუცილებლობის გარდა, არ გაემგზავროთ საზღვარგარეთ! კორონავირუსთან ეფექტიანი ბრძოლა არა მხოლოდ მთავრობის, არამედ საზოგადოებისგანაც მაქსიმალურ სიფრთხილეს და ყურადღებას მოითხოვს. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია თვითიზოლაციის წესების ზედმიწევნით დაცვა. კატეგორიულად მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მოქალაქეობრივი თვითშეგნება და არ დაარღვიოთ თვითიზოლაციის წესები! საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ჯანდაცვის სამინისტროსთან სრული კოორდინაციით უზრუნველყოფს თვითიზოლაციის წესების დაცვის მკაცრ კონტროლს.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან ერთად, საქართველოს მთავრობა ინტენსიურ ნაბიჯებს დგამს, რათა ეფექტურად უპასუხოს იმ გამოწვევებს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას, შესაძლოა, ვირუსის გავრცელებით მიადგეს. უკვე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ბიზნესთან, მათ შორის, საბანკო და ტურიზმის სექტორთან და კერძო სექტორის სხვა სფეროების წარმომადგენლებთან.

მთავრობის ეკონომიკური გუნდი 2020 წლის 12 მარტს, დღის ბოლომდე შემუშავებული გეგმის სახით წარმოადგენს ეკონომიკური სტიმულირების კონკრეტულ გეგმას, რათა მაქსიმალურად შევამციროთ მსოფლიოში პანდემიური ვითარებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ჩაკეტვის გამო, მთავრობა მოკლებულია ადგილზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ჯანდაცვის სერვისების მიწოდების შესაძლებლობას, რაც ამ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შესაბამისად, მთავრობა ყველა შესაძლო საშუალებით, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, ინტენსიურად მუშაობს პრევენციული ზომების გასატარებლად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებისთვის და საჭიროების შემთხვევაში, მათთვის საჭირო დიაგნოსტირების თუ მკურნალობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, მოქალაქეებმა გაითვალისწინონ, რომ ქვეყანაში კორონავირუსთან დაკავშირებით არსებულ ვითარებასთან მიმართებაში უნდა ენდონ მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებულ და ოფიციალურად დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც შეგიძლიათ, იხილოთ მათ შორის, მთავრობის მიერ სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე — **stopCoV.ge“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

ნათია თურნავა: 100 წიაღისეულიდან აუქციონზე 60 ობიექტი მაღალი კონკურენციით გაიყიდა!

კამპანიის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში აუქციონზე გამოტანილი 100 წიაღისეულის ობიექტიდან 60 წარმატებით გაიყიდა, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა. ნათია თურნავას ინფორმაციით, აუქციონზე გამოტანილი ობიექტები საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში გასხვისდა. „მიუხედავად კორონავირუსის გამო არსებული გლობალური გამოწვევისა, რომელიც გარკვეულ შეფერხებას იწვევს ბიზნესშიც და ჩვენშიც, გუშინ საკმაოდ წარმატებით დავასრულეთ კამპანია **„100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში 100 წიაღისეულის აუქციონი. 100 ობიექტიდან 60 საკმაოდ მაღალი კონკურენციის გამოვლენით გავყიდეთ, გავასხვისეთ ბიზნესზე“,** — აღნიშნა მინისტრმა.

ნათია თურნავას ინფორმაციით, ინვესტორები შემოვიდნენ 60 სხვადასხვა საბადოზე, აიღეს მინიმუმ 20 მლნ ლარის ინვესტიციის ვალდებულება, რომელიც ჩაიდება როგორც წიაღის მოპოვებაში, ისე მის გადამუშავებაში. ამასთან, მინისტრის განცხადებით, **„ეს არის მინიმალური ვალდებულება, რეალური ინვესტიცია და ვალდებულება, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, უფრო მაღალი იქნება“.** წიაღისეულის 60 ობიექტის პრივატიზების შედეგად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 1800-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა. 100 წიაღისეულის აუქციონი მომავალშიც გაგრძელდება — საპრივატიზაციო სია ახალი ობიექტებით შეივსება.

14 მარტიდან ოკუპირებული აფხაზეთი ე.წ. გამშვებ პუნქტს ჩაკეტავს

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ვალერი ბგანბას გადაწყვეტილებით, 14 მარტიდან ე.წ. გამშვები პუნქტები იკეტება. როგორც ადგილობრივი გამოცემა წერს, ამის მიზეზი კორონავირუსის საფრთხეა.

„იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში გაიზარდა კორონავირუსით დაავადებულთა რაოდენობა, აფხაზეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 14 მარტის 20:00 საათიდან კეტავს აფხაზურ-ქართულ საზღვარზე გამშვებ პუნქტებს ყველა კატეგორიის მოქალაქეებისთვის, ენგურჰესის თანამშრომლების გამოკლებით“, — აღნიშნულია ბგანბას ე.წ. ბრძანებულებაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ 25 ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მთავრობის მიერ შექმნილ სპეციალურ ვებგვერდზე — stopcov.ge-ზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ინფიცირებულთა რაოდენობა 25-მდე გაიზარდა. კარანტინის რეჟიმში — 295, სტაციონარში კი 49 ადამიანი იმყოფება.

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ: ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲖᲠᲓᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ **კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების ზრდა არის მოსალოდნელი. ამის შესახებ ამირან გამყრელიძემ „ქრონიკის“ ეთერში განაცხადა.** დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის თქმით, ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია ინფექციასთან ბრძოლაში კერძო სექტორის ჩართულობა.

„არავის ვაშინებ, მაგრამ მოსალოდნელია შემთხვევების სერიოზული ზრდა. ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ ყველანაირად. მზად უნდა იყოს სახელმწიფო, მზად უნდა იყოს ჯანდაცვის სექტორი, მზად უნდა იყოს კერძო სექტორი. დღეს საქართველოში ჰოსპიტალების 90% არის კერძო. მე მოვუწოდებთ მათ მფლობელებს და მმართველებს, რომ ამ დროს მთავარია სოლიდარობა, ე.წ. საზოგადოებრივ-კერძო ურთიერთობები. „მე კერძო ვარ და არ მივიღებ ავადმყოფს“ — მიუღებელია ასეთი მიდგომა“, — განაცხადა გამყრელიძემ.

ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲚᲔᲮᲔᲑᲡᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ!



ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲗᲐᲜ **დაკავშირებით შესაძლოა, კიდევ დამატებითი შეზღუდვები გახდეს საჭირო,** — განაცხადა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის უფროსის მოადგილემ პაატა იმნაძემ. მისი თქმით, მოსახლეობაც უნდა მოემზადოს, რომ შეზღუდვები რაღაც ეტაპზე გახდება მეტი.

„ჩვენი რეკომენდაცია მთავრობისათვის იყო, რომ რაღაც ეტაპზე საჭირო გახდება მეტი შეზღუდვები. მაგალითად, ეს არის პირველ რიგში 100-კაციანი და მეტი ქორწილები, ქელეხები. ეს არის შეზღუდვა ჩვეულებრივი ცხოვრების წესის, მაგრამ დადგება მომენტი, როცა ეს გასაკეთებელი შეიძლება გახდეს. ამისთვის წინასწარ უნდა ვიყოთ ყველანი შემზადებული, რომ დიდი თავყრილობები შეიძლება მთავრობამ აკრძალოს“, — განაცხადა პაატა იმნაძემ.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ“ ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ



ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ, ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ“ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲐᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲝ ᲖᲝᲜᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲗᲐ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ.

მათივე ცნობით, სასტუმრო „რუსთავი“, ადგილმდებარეობისა და ინფრასტრუქტურის გამო, შეირჩა. სასტუმრო „რუსთავში“ საკარანტინო ზონა, სავარაუდოდ, ხვალიდან იფუნქციონირებს. შენობაში შესაბამისი სამზადისი უკვე მიმდინარეობს. საქართველოს მასშტაბით რამდენიმე საკარანტინო სივრცე ფუნქციონირებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲖᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ



ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ **გავრცელების პრევენციისთვის, საქართველოს მასშტაბით ეკლესიების დეზინფექცია იწყება. როგორც საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი მამა ანდრია ჯაღმაიძე აცხადებს, სპეციალური ხსნარით ეკლესიების დამუშავდება უახლოეს დღეებში დაიწყება.**

საპატრიარქოში აცხადებენ, რომ მათ გაითვალისწინეს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები. საჭირო რაოდენობის სადეზინფექციო საშუალებები საპატრიარქოს უკვე აქვს.

ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ: ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲙᲐᲤᲔ-ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲔᲑᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲐᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ **გავეცით ინსტრუქცია იმასთან დაკავშირებით, რომ თითოეულმა მენეჯერმა სახლში მომუშავე თანამშრომლებს აუხსნას, რომ სახლიდან მუშაობა ნიშნავს, სახლიდან მუშაობას და არა კაფე-რესტორნებში, ან სხვა ქალაქში ყოფნას,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

„მუშაობა გაგრძელდება და თანამშრომლები სამუშაოს შეასრულებენ ონლაინ, სახლიდან“, — აღნიშნა წულუკიანმა.

ᲒᲐᲜᲒᲐᲨᲘᲡ ᲖᲐᲠᲔᲑᲡ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲐᲤᲘᲝᲓ ᲕᲠᲔᲙᲐᲕᲗ!

ᲫᲕᲔᲚᲜᲔᲑᲡ **ყოველდღე საგანგებო და აგრესიული ზომებისკენ მოვუწოდებთ, ჩვენ განგაშის ზარებს ხმამაღლა და მკაფიოდ ვრეკავთ,** — განაცხადა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორმა ტედროს ადჰანომ გებრეიესუსმა პრესკონფერენციაზე, რომელზეც ახალი კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა. **„ჩვენ მიერ გაკეთებული შეფასებით, „კოვიდ-19“-ის დახასიათება შესაძლებელია, როგორც პანდემია“,** — განაცხადა ტედროს ადჰანომ გებრეიესუსმა. მისი თქმით, სიტუაციის პანდემიად შეფასება არ ცვლის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ კორონავირუსის საფრთხის შეფასებას.

ᲩᲘᲜᲔᲗᲛᲐ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲘᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲐᲠᲐ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ **ეროვნული ჯანდაცვის კომისიის ინფორმაციით, ერთი დღის განმავლობაში, ვირუსით მხოლოდ 15 ადამიანი დაინფიცირდა, 1 318 კი გამოჯანმრთელდა.**

ამასთან, ვირუსის საფრთხის გამო, ჩეხეთმა გერმანიისა და ავსტრიის საზღვრებზე კონტროლის გამკაცრების გადაწყვეტილება მიიღო. შენგენის ზონის ქვეყანა საზღვარზე შემოწმებებს 13 მარტიდან დაიწყებს.

ასევე, კალიფორნია „კოვიდ-19“-ის გავრცელების პრევენციისთვის, მარტის ბოლომდე 250-ზე მეტი ადამიანის შეკრებას კრძალავს. ახალი ტიპის კორონავირუსი მსოფლიოს 114 ქვეყანაში არის გავრცელებული. კორონავირუსის გავრცელების გამო, ნორვეგიამ ნატოსთან ერთობლივი სამხედრო წვრთნა „ქოლდ რისპონს“ (Cold Response) გააუქმა.

* * *

ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ **გავრცელების გამო, აშშ ევროპიდან უცხოელების მიღებას აჩერებს. აკრძალვა 30 დღით ამოქმედდება. გამონაკლისი მხოლოდ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებისთვის დაიშვება.**

„გამონაკლისი გაკეთდება მხოლოდ ამერიკელებისთვის, რომლებიც გადიან სპეციალურ შემოწმებას. შეზღუდვები ასევე არ გავრცელდება დიდ ბრიტანეთზე“, — აღნიშნა აშშ-ის ლიდერმა.

აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, ევროკავშირმა ვერ შეძლო უსაფრთხოების ისეთი ზომების ამოქმედება, რაც აშშ-მა.

* * *

ᲓᲐᲜᲘᲐᲨᲘ **კორონავირუსის გამო მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლები და უნივერსიტეტები დახურეს. საგანგებო ზომები სკოლებსა და უნივერსიტეტებთან ერთად, შეეხება საჯარო სექტორსაც. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის განმარტებით, საჯარო სექტორში მომუშავე პირებს გარკვეული პერიოდით სამსახურიდან გაათავისუფლებენ. ცვლილებები არ შეეხება მხოლოდ საგანგებო სიტუაციების სამსახურების თანამშრომლებს.** ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, დანიაში კორონავირუსის 516 დადასტურებული შემთხვევა ფიქსირდება.

* * *

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲛᲐ **ყველა ქვეყნის მოქალაქისთვის ტურისტული ვიზები გააუქმა. ინდოეთის მთავრობის პრესსამსახურის ცნობით, 15 აპრილამდე შეჩერდება ყველა ვიზა დიპლომატიური, ოფიციალური, გაერო-სა და სხვა საერთაშორისო სამუშაო ვიზების გარდა.**

* * *

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ **ვიცე-პრეზიდენტს კორონავირუსი დაუდგინეს. გავრცელებული ცნობით, ეშაქ შაჰანგირი ამჟამად კარანტინში იმყოფება. ჯაჰანგირი ყველაზე მაღალი თანამდებობის პირია, რომელიც ირანში ვირუსით დაინფიცირდა. მანამდე, კორონავირუსი ასევე დაუდგინეს ირანის მთავრობის ორ წევრს, ირანის კულტურისა და მრეწველობის მინისტრებს.** ირანში მთავრობის ბოლო სხდომა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ ჩაატარა. შეხვედრაზე მისულ მინისტრებს ნიღბები ეკეთათ.

ᲝᲰ, ᲔᲡ ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ“ გენერალურმა მდივანმა „ ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გარიგებაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა. როგორც კახა ძაგანია ამტკიცებს, შალვა ნათელაშვილი უშუალოდ მიხეილ სააკაშვილთან ფინანსურად არის დაკავშირებული და ყველა მისი განცხადება აღნიშნული პარტიის ინტერესებს უკავშირდება.

ძაგანიას თქმით, როდესაც პოლიტიკური კომიტეტის წევრებმა ნათელაშვილის ფინანსური გარიგებების შესახებ გაიგეს, მათ „ლეიბორისტული პარტია“ პროტესტის ნიშნად დატოვეს.

„მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილს, ასევე ფულის გაპროცენტებაში ადანაშაულებს.

მისი ინფორმაციით, პარტიის ლიდერი საკუთარ წევრებზე თანხას წლიურად 60 პროცენტში აპროცენტებდა.

„დღეს ნათელაშვილი არის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი საქართველოში, თავისი ამ პოლიტიკური თაღლითობით. წინა საპარლამენტო არჩევნებზე, როცა „რუსთავი 2“ ჯერ კიდევ გვარამიასი იყო, მან გვარამიას 100 ათასი ლარი გადაურიცხა. ეს თანხა სააკაშვილმა მისცა და ვითომ შალვამ რეკლამები იყიდა „რუსთავი 2“-ში და თითქოს ამ მიზეზით ჩაურიცხა გვარამიას ამხელა თანხა. ჩვენ, მისმა თანამებრძოლება, არ ვიცოდით რამხელა ფინანსები მოდიოდა „ნაციონალური მოძრაობისგან“ ჩვენს პარტიაში. იმის მიუხედავად, რომ ხალხი ლაპარაკობდა, შალვას სააკაშვილი აფინანსებსო. არ ვიჯერებდი იქამდე, სანამ ფაქტები არ გამოვლინდა. ეს იყო ჩვენი წამოსვლის რეალური მიზეზი, მთელი პოლიტიკური კომიტეტი წამოვედით. ძალიან ვწუხვარ, რომ ნათელაშვილი ამომრჩევლების ხმებს ყიდის და ხალხის სიყვარულს ახურდავებს მწვანე დოლარებში. მინდა გითხრათ, რომ შალვა ნათელაშვილი სააკაშვილის მიერ ჩარიცხულ ფულებს, საკუთარი პარტიის წევრებზე წლიურად 60 პროცენტში აპროცენტებდა“, — განაცხადა კახა ძაგანიამ

„მემარცხენე ალიანსის“ ლიდერმა საარჩევნო სისტემაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ შეთანხმება კარგია, თუმცა მათ ბოიკოტი აქვთ გამოცხადებული და მოლაპარაკებებში არ მონაწილეობენ.

ამასთან, კახა ძაგანიამ პოლიტპატიმრების საკითხზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ, თუ ხელისუფლება უგულავას გაათავისუფლებს, მაშინ მთავრობა ამომრჩევლების ხმას დაკარგავს.

„ჩვენმა პოლიტიკურმა მოძრაობამ ყველა ოპოზიციურ პარტიას, გარდა „ნაცებისა“ შევთავაზეთ, რომ ერთად გვემუშავა კანონპროექტის ცვლილებაზე, თუმცა ისინი არ დაგვეთანხმნენ. ჩვენ ვუთხარით ოპოზიციას, ხომ ხედავთ „ნაცების“ გამო არ გამოდის ხალხი, გამოდით, ცალკე დადექით, რადგან ხალხი ხვდება, რომ „ნაცებს“ პროპორციული არჩევნების იდეა კი არ უნდათ, არამედ — ხელისუფლებაში მოსვლა. ჩვენ ბოიკოტი გვაქვს გამოცხადებული და არ ვმონაწილეობთ მოლაპარაკებებში. „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად მაგიდასთან არ დავსხდებით, რადგან ისინი კრიმინალები არიან!..

ᲛᲫᲐᲠᲪᲕᲔᲚ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲧᲐᲚᲗᲐᲑᲐᲜᲓᲣᲠᲘ ᲓᲝᲚᲘ

70 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲐᲤᲘᲝᲠᲐ - ᲨᲕᲔᲓᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲥᲔᲛᲐᲨᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ

ᲨᲕᲔᲓᲣᲠᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲛᲐ DAGENSNYHETER-ᲛᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ MILTONGROUP-ᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲫᲕᲔᲣᲛᲜᲐ. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲗ, ᲤᲘᲠᲛᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲠᲝᲙᲔᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲡᲐᲚᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ, ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲐᲤᲘᲝᲠᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ ᲓᲐ 70 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲫᲐᲚᲐ 50 ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠ ᲐᲫᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲔᲡ ᲐᲛ ᲐᲤᲘᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ

DAGENSNYHETER-ᲘᲡ კვლევის თანახმად, MiltonGroup-ი სოციალურ ქსელში აქვეყნებდა ფეიკრეკლამას, რომლის მეშვეობითაც ქიუ ჯეკმანი, გორდონ რამზი და სხვა ცნობადი სახეები ბიტკოინის, ძვირფასი ლითონებისა და სხვა აქტივების ინვესტირების რეკლამირებას ახდენდნენ. ვინც ამ განცხადებებს წამოეგებოდა, ქოლ-ცენტრის ოპერატორები „ამუშავებდნენ“. ტერიტორიულად მათი ოფისი უშუალოდ კიევის ცენტრში, ბიზნესცენტრ MandarinPlaza-ში მდებარეობდა.

მსხვერპლებს ჰპირდებოდნენ მაღალ მოგებას სერიოზული რისკების გარეშე. ჟურნალისტები აღწერენ რამდენიმე აფიორას, რომელიც ასაკოვან შვედებს შეემთხვათ — სწორედ ასეთ აუდიტორიას მიიჩნევდნენ თაღლითები ყველაზე მაღალშემოსავლიანად. ოპერატორები „მსხვერპლის“ ნდობას შემდეგი ინსტრუქციით მოიპოვებდნენ: თავდაპირველად ადამიანების ცხოვრებით ინტერესდებოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გადადიოდნენ საქმის ძირითად არსზე. კლიენტებთან ურთიერთობას ამყარებდნენ მათი სტატუსებისა და მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენების მიხედვით.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲫᲐᲚᲝᲗ ᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - ᲡᲥᲔᲛᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲨᲘ — ათასი შვედური კრონი (დაახლოებით 100$) იყო. შემდეგ კომპიუტერზე პროგრამულ უზრუნველყოფას ახორციელებდნენ წაშლილი მონაცემების მისაწვდომად და ინტერნეტგვერდებზე კოდის ხელმისაწვდომობის გასაფართოებლად. საბოლოო ჯამში იქმნებოდა რეალური ტრანზაქციების შთაბეჭდილება.

ამ აფიორის მსხვერპლნი ფიქრობდნენ, რომ მათი აქტივების რაოდენობა განუზომლად იზრდებოდა, მაშინ, როდესაც ოპერატორები მათი სახელით იღებდნენ მოკლევადიან სესხებს 39%-ი ოდენობით. შემოსავლების საკუთარ სახელზე გადატანა ადამიანებს არ გამოსდიოდათ. როდესაც ვითარება კრიტიკულ სახეს იძენდა, საქმეში ერთვებოდა თაღლითების მეორე კატეგორია. ესენი იყვნენ „გადამრჩენელები“ — ისინი იტყობინებოდნენ, რომ გამქრალი თანხები ნაპოვნი იყო, უბრალოდ, მათ მისაღებად კომისიისთვის გადასახადის გადახდა იყო საჭირო. თუმცა ფულის გადახდა ვითარებას არ ცვლიდა.

DagensNyhete-ს საილუსტრაციოდ რამდენიმე შთამბეჭდავი ისტორია მოჰყავს. ასე მაგალითად, 67 წლის შვედმა ქალბატონმა მაიბრიტმა სახლი გაყიდა. პენსიაზე მყოფმა 73 წლის სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლმა კენტ ლუნდინმა კი ამ საქმეში ჩადო ათობით ათასი დოლარი.

რეკორდული დანაკლისი განიცადა ერთერთმა მამაკაცმა ჩეხეთიდან, რომელმაც დაახლოებით 200 000$ დაკარგა. დაახლოებით ამდენივე თანხა გაიღო ირანული წარმოშობის შვედმა ქალბატონმა.

ბევრ კლიენტს „ამუშავებდა“ ვინმე **უილიამ ბრედლი**. ამ საქმეში ჩართული იყო ირანელი **ჯავიდ ხამზე**. ის თავს იქებდა კიდეც, რომ ერთ დაზარალებულს დაახლოებით 150 000$ გამოსძალა. ამ ადამიანის, ისევე როგორც კომპანია MiltonGroup-ის წინააღმდეგ შვედეთის პოლიციაში განცხადება შევიდა, მაგრამ ადგილობრივი სამართალდამცავები ამ საქმის გამოძიებას არ ჩქარობენ.

მთლიანობაში, საუბარია 50 ქვეყნის მოქალაქეზე. ოპერატორები გაყოფილნი იყვნენ სეგმენტებად ენების მიხედვით: რუსული, ესპანური, ინგლისური, იტალიური. ამ თაღლითურ სქემაში ამერიკელების გაბმას ერიდებოდნენ, რათა ფბრ-ის ყურადღება არ მიეპყროთ.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ

DagensNyheter-მა ეს მონაცემები MiltonGroup-ის შიგნით საკუთარი წყაროს რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად შეაგროვა. მან გადაიღო კომპანიისა და მისი თანამშრომლების მუშაობის ოქმი და შეაგროვა მონაცემები. მთლიანობაში, MiltonGroup-ში დაახლოებით 200 თანამშრომელი ირიცხებოდა. მონაცემების გაჟონვისთვის თავი რომ აერიდებინათ, თანამშრომლებს აიძულებდნენ, ტელეფონები შემოსასვლელში დაეტოვებინათ. მოტივაციის ასამაღლებლად კი, გეგმის შესრულების შემთხვევაში, მათ პრემიებს უხდიდნენ.

მენეჯერების ანაზღაურება, რომლებიც ყველაზე მეტ ზარს ახორციელებდნენ, კომისიაზე წყდებოდა. დაკრედიტების ტრანზაქციისთვის იძლეოდნენ 4%-ს, WesternUnion-ის მსგავსი გადარიცხვის სერვისებისა და Moneygram-ისთვის ანაზღაურება იყო 6%, კრიპტოვალუტის მეშვეობით კი-9%.

საბანკო გადასახადს ღებულობდნენ ბრიტანული ოპერატორის ClearJunctionLtd-ის მეშვეობით. ამ კომპანიამ უკრაინაში დაარეგისტრირა თავისი საგადასახადო სისტემა. ის ასევე წარმოადგენდა ევროანგარიშს „მონობანკისთვის“. მისი მფლობელია **დიმიტრი კაცი**, რომელსაც უკრაინული ბიზნესიც აქვს.

MiltonGroup-ის მთელი ბრენდების ბრუნვამ მხოლოდ 2019 წლის მანძილზე შეადგინა 70 მილიონი დოლარი. ამის შესახებ იტყობინებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. სხვადასხვა დროს თანხები 50 მილიონი დოლარიდან 65 მილიონ დოლარამდე მერყეობდა. CEOMiltonGroup-ის წარმომადგენელმა იაკობ კესელმანმა მათ მუშობას „არაკორექტული“ უწოდა და აღნიშნა, რომ ფირმა მომსახურებას უწევდა საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერას.

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲙᲔᲡᲔᲚᲛᲐᲜᲘ

OCCRP-ᲘᲡ ჟურნალისტები წერენ, რომ MiltonGroup-ს აქვს კავშირები ალბანეთის, საქართველოს, ჩრდილოეთ მაკედონიის ქოლ-ცენტრებთან. AIN.UA-ს ჟურნალისტმა აღმოაჩინა MiltonGroup-ის ყოფილი თანამშრომლის რეზიუმე, რომელიც აღნიშნავს „სხვა ქალაქებში ოფისების“ გახსნის შესახებ, მაგრამ არ აზუსტებს მათ ლოკაციას.

ᲠᲐ ᲬᲔᲠᲘᲐ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲖᲔ ᲓᲐ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ

AIN.UA-ს ჟურნალისტმა დამატებით შეისწავლა MiltonGroup-ის ბიზნესი და ამ კომპანიასთან დაკავშირებული პირები. ძირითად თანამდებობებზე არიან ქართველები, რომლებიც ბიზნესს ახორციელებენ უკრაინაში. ზოგიერთი მათგანი ყოფილი ქართველი ჩინოვნიკია, რომელთაგან ზოგიერთები უკვე ბრალდებულნი არიან უკანონო საქმიანობის წარმართვისთვის.

უკრაინულ რეესტრში MiltonGroup-ის შესახებ ბევრი მონაცემი არ არის. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომპანია MiltonGroup-ი 2016 წელს დაარსდა, მისი პროფილია კომპიუტერული პროგრამირება. ამ დაწესებულების დადგენილი კაპიტალი 2,6 მილიონი გრივნაა, მონაგები თანხა 2018 წელს არ აღემატებოდა 4 მილიონს.

MiltonGroup-ის ერთადერთი ოფიციალური ბენეფიციარი ქართველი **ირაკლი დადივაძეა**. ჟურნალისტური კვლევის თანახმად, თანამშრომლები აღიარებენ, რომ MiltonGroup-ი წარმომავლობით ქართველი **დავით თოდუას** საკუთრებაა. მას აკავშირებენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერ **მიხეილ სააკაშვილთან**.

თოდუა ფლობს კვიპროსის საგადასახადო კომპანია Naspay-ს, რომლის მეშვეობითაც გაედინებოდა თანხების დიდი ნაწილი. დადივაძე და თოდუა უკრაინაში ფლობენ ამ კომპანიის განტოტვილ ქსელს.

მეორე მსხვილი ბიზნესი, რომელიც მიწერილია დადივაძის სახელზე, კომპანია LimeConsulting-ია. ისიც თავს წარმოაჩენს საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტად, მაგრამ ირიბი ნიშნებით მას შეუძლია ონლაინ-კაზინოს ნიშით იმოქმედოს.

LIMECASINO-Ს ᲕᲐᲙᲐᲜᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ

LIMECONSULTING-ი ფლობს ოფისს ArenaCity-ში, ასევე, მას აქვს აქტიური რეკრუტინგი, სადაც გამოუცდელ ახალბედებს პირველ ოთხ თვეში 2000-3000$ შემოსავალს ჰპირდებიან. ვაკანსიებს შორის არის გაყიდვების მენეჯერის პოზიცია, არის ენობრივი სეგმენტაცია (მაგალითად, შვედური, პოლონური, გერმანული ენები). მათ მოვალეობაში შედის: სატელეფონო კავშირი, მუდმივი კლიენტის შენარჩუნების უნარი და არანაირი კონკრეტიკა პროდუქტის შესახებ.

LIMECONSULTING-ᲘᲡ „ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘᲡ“ ᲕᲐᲙᲐᲜᲡᲘᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ

MiltonGroup-ის ყოფილი თანამშრომლები ღიად წერენ, რომ კომპანია დაკავებულია ბინარული ოფციონებისა და სხვა ფეიკაქტივების გაყიდვით. ასევე, აღწერენ სამუშაოს სხვა თავისებურებებსაც: მუშაობას აიძულებდნენ ფეხზე მდგომარედ, ხოლო სამსახურში მოწყობისას უნდა მოეყოლათ მთელი ცხოვრებისეული წვრილმანები. ზოგიერთი იმასაც იხსენებს, რომ 2018 წლის მაისში MiltonGroup-ის ოფისს ჩხრეკისთვის სამართალდამცავები ეწვივნენ. თითქოსდა, მათ ამოიღეს კომპიუტერები და დოკუმენტები და, ასევე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ შეატყობინეს. თუმცა სასამართლოს რეესტრში ამ ჩხრეკის, ისევე, როგორც MiltonGroup-ის, როგორც იურიდიული პირის შესახებ არაფერია ნათქვამი.

MILTONGROUP-ᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲝᲓᲣᲐᲡ უკრაინაში რამდენიმე ბიზნესი აქვს, რომლებიც გაფორმებულია ყოფილ თავდაცვის მინისტრსა და საქართველოს ფინანსური პოლიციის დირექტორ **დავით კეზერაშვილთან** პარტნიორობით. 2013 წელს მას ბრალი დასდეს მექრთამეობასა და უკრაინაში სპირტის კონტრაბანდისთვის. ერთობლივი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „Проджект Партнерс“-ის მეშვეობით, რომელიც ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამირებითაა დაკავებული, თოდუა და კეზერაშვილი ფლობენ კომპანიებს „Фирма Спецтрейдинг“-სა და ნაწილობრივ „Елиткомфортбуд“-ს, სადაც დირექტორებად და მოვალეობის შემსრულებლებად ყოფილი ქართველი ჩინოვნიკები არიან დანიშნულნი. კერძოდ, „Фирма Спец-трейдинг“-ის ხელმძღვანელი **გია გეწაძე** — საქართველოს იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, რომელიც იმავე თანამდებობას ფლობდა უკრაინაშიც. „Елиткомфортбуд“-ის თანადამფუძნებელი კი **პეტრე ცისკარიშვილია**, საკაშვილის დროინდელი სოფლის მეურნეობის მინისტრი. თუმცა MiltonGroup-ის ბიზნესთან ამ საწარმოების ვერავითარი რეალური კავშირების დადგენა ვერ მოხერხდა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲘᲢᲝᲜᲘ

ᲡᲫᲠᲘᲜᲨᲝᲤᲝᲢᲘ MILTONGROUP-ᲘᲡ ᲨᲘᲓᲐ ᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ - ᲬᲧᲐᲠᲝ OCCRP (ORGANIZED CRIME AND CORRUPTION REPORTING PROJECT)

ნაცების წინასაარჩევნო რეიტინგი იალბუზივით მაღალია?

ღმერთო დიდებულო, ნეტა არსებობს კი ამ ტანჯულ დუნიაზე ისეთი ბინძური საქმე, რომლის კეთებაც ჩვენებურ ნაცებს არ ხელეწიფებათ, ან ისეთი ბილწი საქციელი, რომელსაც ევროპული ჰალსტუხივით არ მოირგებენ. ამ კითხვებზე პასუხი ალბათ მის აღმატებულება სააკაშვილს ესაპირწონება, რომელმაც ჰალსტუხი პრეზიდენტობასთან ერთად არა მარტო მოირგო, სალოღნავადაც ღირსეულად გამოიყენა. აღარაფერს ვამბობ იმავე სააკაშვილის ნაშიერი ნაცებისა და ევრონაცების დემოკრატიულ განსწავლულობაზე, რომლებიც პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებით მათ მიერვე ატეხილ ყმუილ-გნიასს წარმატებით იყენებდნენ ხალხისთვის თავის მოსაწონებლად და წინასაარჩევნოდ მაღალი რეიტინგის მოსაპოვებლად.

მთავარი ნიშა, რომელიც ამ წინასაარჩევნო ორომტრიალში ნაცებსა და ევრონაცებს ერთ მონოლითურ ძალად ადუღაბებს, სააკაშვილის ყურმოჭრილი მონობა გახლავთ, ნაცებმა ეს ჭეშმარიტება თავადაც მშვენივრად უწყიან, მაგრამ პრესტიჟი რომ არ შეელახოთ, თვალებს იბრმავებენ, ყურებს იყრუებენ და აქეთ სალანძღავები იქით თავს ესხმიან მათივე შეფასებით უხერხემლო და უნიათო ოცნებელებს. ახლაც მახსოვს ენატყლაშუნა ნაცდეპუტატი სამადაშვილი პარლამენტის ერთერთ სხდომაზე როგორ დაესხა თავს კოლეგა მეოცნებე დეპუტატებს, რომლებსაც ერის მოღალატე ყეყეჩი პოლიტიკოსები და ბიძინა ივანიშვილის ერთგული გოშიები უწოდა.

როგორც ამ რამდენიმე დღის წინათ ვწერდი, მაშინ დარბაზში ყველა გაისუსა, ანჩხლი ქალია და ეტყობა, ჯოხის აქნევას მოერიდნენ. ერთადერთი, ვინც გოშიობა იუკადრისა, დეპუტატი ზვიად ძიძიგური აღმოჩნდა. მანაც სათქმელი ისე მორიდებულად შეაპარა კოლეგას – ქალბატონო სალომე, მე რომ ახლა თქვენ სააკაშვილის პუდელი გიწოდოთ, არ გეწყინებათო? – რომ ყველას სახეზე ღიმილი შეატოვა. თავად სამადაშვილი, რომლის პოლიტიკურ ყეფასაც მთელი ქვეყნის ყურთასმენა მიაქვს, არა მგონია, კურდღელივით მშიშარა და ლაქუცა პუდელის ხვედრით დიდად კმაყოფილი დარჩენილიყო. ალბათ, პირადად სააკაშვილიც არ დაუმადლის ძიძიგურს ნაცების მისამართით გაღებულ წყალობას, რადგან ნაცბელადს, რომელიც ივანიშვილის ხელისუფლებას დამხობით ემუქრება, ლაქუცა პუდელები კი არა, ანჩხლი და შემტევი ქოფაკები უფრო „ევასება“.

აკი ჰყავს კიდეც, თანაც კარგად გაწვრთნილი ნაგაზების (როგორც ქალების, ისე კაცების) მთელი არმია, რომელსაც ნაცსარდალი სადაც დასჭირდება, იქ მიუქსევს. ერთი ასეთი სურათის მომსწრე ამას წინათაც გავხდით, როცა კბილებალესილი ელენე ხოშტარია და თინათინ ბოკუჩავა მართლაც რომ ნაგაზებივით შეცვივდნენ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, თავს დაესხნენ როგორც თავად კომიტეტის თავკაც ოხანაშვილს, ისე დეპუტატებთან გასაუბრებაზე მისულ გენპროკურორობის კანდიდატ ირაკლი შოთაძეს, რომელთაც ივანიშვილის მონები და ქვეყნის დამაქცევრები უძახეს.

ხელისუფლების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად მომდევნო დღეებში იმავე ხოშტარიასა და ნადირაშვილის მიერ პარლამენტში გაჟღერებული საბჭოთა კავშირის ჰიმნი, როცა პლენარულ სხდომაზე გასულ წელს გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდიოდა პარლამენტის სპიკერი არჩილ თალაკვაძე, ნაგაზმა ნაცდედაკაცებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს მათი შეფასებით უნიათო მთავრობას: ჩვენ ვართ ის პროგრესული ძალა, ვისაც ქვეყნის მომავალი უნდა ჩაბარდეს, თქვენ კი უქნარა და უნიათოები, საბჭოეთის შავბნელ წარსულში ჩარჩენილი ხართო(!).

ეს ნაცქალები კი ბზრიალებენ ჯარასავით, მაგრამ რას აკეთებენ ამ დროს ნაცკაცები წინასაარჩევნო რეიტინგისთვის ქულების შესამატებლად? რა თქმა უნდა, არც ვაჟკაცი ნაცები სხედან გულხელდაკრეფილნი და პირზე ბოქლომდადებულნი (ამას ისინი სახელმწიფო ინსტიტუტების დასაბოქლომებლად იყვნენ და არა საკუთარი თავის). აბა, რა ბოქლომი შეაკავებს ულვაშა გრიშა ნაცლიდერის ტემპერამენტს, რომელიც „ოცნების“ თავკაცებს წარამარა „ნაკერებზე გახევით“ ემუქრება, ან კიდევ კაკოია ბობოხიძეს, რომლის ერთი სარეპლიკო შეძახილი პარლამენტის მთელ შენობას მიწისძვრასავით აზანზარებს? ამათ კიდევ მოევლება, მაგრამ ქოცები რით აპირებენ ციხიდან ახლად გამომძვრალი „მეგვამე“ მერაბიშვილის შეკავება-განეიტრალებას, რომელიც ივანიშვილის ხელისუფლებას „დამხობით“ ემუქრება?!

მერაბიშვილს კისერზე მძიმე დანაშაულები აწევს და თუ არ გაჩუმდება, კანონის ძალით ჩააკმენდინებენ ხმას, მაგრამ აი, იმ ხალხს რას უშვრები, ნაცხროვის ეგრეთ წოდებულ მხარდამჭერებს, „პოლიტპატიმარ“ ნაპრემიერალს ციხის კართან „ტრიუმფალური დახვედრა“ რომ მოუწყვეს? ათგზის დამნაშავე მერაბიშვილი იმის მაგივრად, რომ ციხის უკანა კარიდან გაპარულიყო, დამხდურებს სიცილ-ხითხითითა და გულის შემძვრელი მგზნებარე სიტყვით მიესალმა. აბა როგორ, ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, „პოლიტპატიმარს“ სხვა როგორი შეხვედრა შეიძლება ჰქონოდა?!

კარგი, მერაბიშვილი, ჩემო ბატონო, ციხიდან გამოძვრა და მისმა ფანებმა ეს იდღესასწაულეს, მაგრამ ის როგორღა ავხსნათ, ქალაქის ყოფილი მერი ციხეში მეორეჯერ ზარზეიმით რომ გაისტუმრეს? ეტყობა, საზოგადოების იმ ნაწილმა, ნაცბანდას რომ ეპირფერება, „გაგებით აღიქვა“ უგულავას მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაფლანგული 48 მილიონი ლარი, აგრეთვე ის თანხები, თავის დროზე ლას-ვეგასში უგულავას ძვირად ღირებულ ვოიაჟს რომ შეეწირა. ალბათ, ამიტომაც გრძნობს თავს ლაღად საპატიმროში შებრუნებული მერყოფილი, ღიმილით იძლევა სატელევიზიო ინტერვიუებს და მერაბიშვილივით მთავრობას დამხობით ემუქრება.

ინტერვიუებს კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ამ ხელისუფლების საჯაროდ „დამამხობლებს“ დამცველებიც რომ გამოუჩნდნენ, თანაც ისეთები, რომლებიც ადრეულ ასაკში ქვეყნის დამაქცევარი მიშნაცების არა მარტო დასჯას, გაციმბირებასაც კი მოითხოვდნენ? არ გაიკვირვოთ, თუ მათ შორის ნაცების დიდი მოძულე ქალბატონი ნინო ბურჯანაძეც აღმოჩნდება. „უგულავამ შეიძლება დააშავა კიდეც, მაგრამ, როდესაც ადამიანი პოლიტიკურად აქტიურია, აკეთებს ხმამაღალ პოლიტიკურ განცხადებებს და მონაწილეობს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესში, როგორც ერთერთი გამორჩეული ფიგურა, მისი დაკავება არ შეიძლება, რადგან უკვე პოლიტიკური დევნის ელფერს იძენს“, – აცხადებს ნინო ბურჯანაძე ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ჰოი საოცრებავ, აღმოგხდება, როცა იცი, რომ ამას ამბობს პროფესიონალი იურისტი, ცხრა თოკქვეშ გამოვლილი პოლიტიკოსი, თავად ნაცრეპრესიებგამოვლილი ნინო ბურჯანაძე. ამბობს კი არა, პირდაპირ აქეზებს დამნაშავეს – რაც გინდა გააფუჭე, რაც გინდა, მოიპარე, სახელმწიფო ბიუჯეტის ფულები გუნებიერად ათქაფუნე, მაგრამ არ დაიზარო, რომელიმე პარტიას მიეტმასნო, ხელისუფლების საწინააღმდეგო პოლიტგანცხადებები აკეთო და თითს ვერავინ დაგაკარებსო. რატომ, არ იკითხავთ? თურმე ხელისუფლებას ეს პოლიტიკურ დევნად ჩაეთვლება და ევრო-ამერიკელი პარტნიორების შიშით კანონს ფეხებზე დაიკიდებს და გაჩუმებას ამჯობინებს.

წერილი დასრულებული არ მქონდა, რომ ტელევიზიით ფრიად სასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა: როგორც იქნა, კონსესუსი შედგა, პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის თვეობით გაჭიანურებული დავა შეთანხმებით დასრულდა. მხარეები შეთანხმდნენ მოდელზე, სადაც 120 დეპუტატი არჩეული იქნება პროპორციული, ხოლო 30 დეპუტატი მაჟორიტარული წესით. ღვთის მადლით, დასრულდება ქუჩის პრაქტიკა და ის გადაინაცვლებს სახელისუფლებო ინსტიტუტებში, რაც შექმნის ქვეყნის სტაბილური და მშვიდობიანი განვითარების პერსპექტივას.

თუმცა, ნაცები აბა რის ნაცები არიან, შეთანხმების ასე ბედნიერად დასრულების შემთხვევაშიც კი სათავისოდ თუ ერთ საკირკიტო საკითხს მაინც არ შემოინახავდნენ. აკი გამოძებნეს, უფრო სწორად, სახელდახელოდ შეთხზეს კიდეც ცხელცხელი ტყუილი: ხელისუფლებასთან შევთანხმდით, რომ ციხეების კარს გახსნიან და პოლიტპატიმრებს გამოუშვებენო. ხელისუფალნი ხელებს ასავსავებენ, ასეთი შეთანხმება არ ყოფილა, მემორანდუმის ტექსტში სიტყვა „პოლიტპატიმარი“ საერთოდ ნახსენები არ არისო. „ჩვენ არ გვყავს პოლიტპატიმრები, გვყავს კრიმინალები, რომლებიც კანონიერად იხდიან სასჯელს“, – აცხადებს კახა კალაძე. მას მხარს უბამს ირაკლი კობახიძე, რომლის თქმით, ნაცები მიჩვეული არიან ტყუილების გავრცელებას და ამჯერადაც ძველ, ნაცნობ ხერხს მიმართეს.

ნაცებმა უდავოდ კარგი საქმე გააკეთეს, როცა შეთანხმებას ხელი მოაწერეს, მაგრამ წინასაარჩევნოდ აღებული ქულები მაშინვე დაკარგეს, როცა პოლიტპატიმრების გათავისუფლების თაობაზე სიცრუე გაავრცელეს და ქუჩაში საპროტესტო აქციების გაგრძელებისთვის ერთგვარი საბაბი შექმნეს.

და მაინც, პატივცემულო მკითხველო, როგორ ფიქრობთ, ნაცჯიგრებმა ამდენი ტანჯვა-ჯახირის შემდეგ შეძლეს კი წინასაარჩევნოდ რეიტინგის იალბუზის დონემდე აწევა, თუ კვლავ ძველებურად კუს ტბის დონეზე დარჩნენ?! ამაზე ზუსტ პასუხს ოქტომბერში ამომრჩეველი გასცემს, მანამდე კი, ავსულ ნაცებს შეუძლიათ, იმაზე იფიქრონ, მორიგ შემთხვევაში „არჩევნების გაყალბების გამო“ მარტივი საპროტესტო აქციები როგორი პერიოდულობით გამართონ და იმაზეც, მაშინვე უნდა „დაამხონ“ არსებული ხელისუფლება თუ მომდევნო არჩევნებს დაუცადონ?!



ოთარ ხუციშვილი

ცოლის ცემა შერჩებოდა?

გუკა რჩეულიშვილს მეუღლის საჩივრის საფუძველზე პატიმრობა შეეფარდა. გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლომ მიიღო. პროცესს არ ესწრებოდა თავად ბრალდებული. მოსამართლემ პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის დარღვევის გამო მიიღო.



გამოძიების ვერსიით, ლელა კილაძეს გუკა რჩეულიშვილი კონფლიქტის შემდეგ ფიზიკურად გაუსწორდა. სასამართლოს გადაწყვეტილება რჩეულიშვილის ინტერესების დამცველს დღესვე ჩაბარდება.

◎ როცა ჩვენს ნაშრომს ვკოცნით!..

სიმინდი „ჩემპიონი“

თბილისის ზღვის სანერგეში 1958 წლის აგვისტოდან ვცხოვრობ. სარწყავი არხის გაუქმების გამო, როგორც ჩემი მეზობლები, მეც უბოსტნოდ დავრჩი, ბაზრიდან ავტობუსით ამოტანილ ბოსტნეულზე ვართ დამოკიდებული.

შარშან ზაფხულს შემოვიდა თუ არა ეზოში ჩვენი მომმარაგებელი მანქანა, რიგში დავდექი და რას ვხედავ, მეზობელმა გოგონამ, რომელიც სულ წვრილმარცვლოვან ჭყინტ სიმინდს ყიდულობდა, ყუთიდან ექვსჯერ მეტი სიდიდის ტაროების ამორჩევა დაიწყო. აღელვებული გადავწვდი საოცრად მსხვილმარცვლიან ტაროს, გავასუფთავე ტალახისგან და კოცნა დავუწყე. მეზობლები გაოცებული მიყურებენ, უკვირთ. ყუთში ოთხი ტარო იყო ნორმალური, ისიც გოგონამ წაიღო, დანარჩენი, დაზიანებული შვიდი, მე შემხვდა, მაგრამ მაინც ჩავაწყვე პარკში და გახარებული, კმაყოფილი დავყურებდი... ახალგაზრდები მეკითხებიან: — გივი ბიძია, რამ გაგახარათ ასე, პირველად ნახეთ ასეთი ჯიშის სიმინდი, ან სიმინდის კოცნა რას ნიშნავსო? — შვილებო, ეს სიმინდი მე გამოვიყვანე, ასეთი საადრეო და გაუმჯობესებული გემოსი-მეთქი.

სად, როგორ მოხდა ყველაფერი ეს?

— ჩემი სიდედრი მარიამ ხოჯელანი სვანი იყო. როგორია სიდედრი, თანაც — სვანი? მაგრამ მე, ღვთის წყალობით, გამიმართლა, ნახევარი საუკუნე ისეთი დედაშვილური განწყობით, ხალისიანად გავატარეთ, რომ მეზობლები გვლოცავდნენ.

მარიამს სვანეთიდან თავისიანები ხშირად საჩუქრებს უგზავნიდნენ. ერთხელაც მარიამმა გზავნილი შემოიტანა და ჩანთის გახსნა დაიწყო. სვანური წვრილმარცვლოვანი სიმინდის დანახვაზე გამეღიმა. მარიამმა შემამჩნია და ნაწყენი ხმით მითხრა: — შენ არ იცი, რა საოცარი გემო აქვს, თანაც, ეს შვიდკვირიანია...

— რაო, შვიდკვირიანიო! მოდი, მარიამ, თუ მასეთია, ჩვენს დამუშავებულ შავნიადაგზე დავთესოთ და ერთ ტერასაზე მოვიყვანოთ. კარგი იქნება, აქ მიწაც და ჰავაც კარგია.


თეთრი „აჯამეთური“

სვანური ჯიშის წვრილმარცვლოვანი სიმინდი

მას შრომაში ვერავინ გაეჯიბრებოდა. წავედით არხისპირა ბაღში., ამ დროს ჩემმა მეზობელმა შალვა გოგორიკიძემ დამირეკა: გივი, სოფლიდან სიმინდი გამომიგზავნეს, ისეთი მსხვილმარცვლოვანია, მხოლოდ ინდაური ახერხებს ჭამას, ქათმები ვერ ყლაპავენ...

— შალვა, თუ ასეთი საოცარი რამეა, ორი კილო მომეცი, არხთან რომ ნაკვეთი მაქვს, იქით მივდივარ, სვანური სიმინდი მიმაქვს და საცდელად გვერდიგვერდ დავთესავ.

— თუ ცდას ატარებ, მეტს მოგცემ...

— არა, ორი კილო მეყოფა.

— კარგი, გამოიარე და გაგატან.

ჩემმა შვილმა ამირანმა, მარიამმა და მე კარგი ადგილი შევარჩიეთ, შემოდგომით დამუშავებული, გაფხვიერებული, ორმოცდაათმეტრიანი ორი მწკრივი. გავაღრმავეთ, მოვრწყეთ და სველ ნიადაგში ჩავთესეთ: ცალკე — გურული, აჯამეთური, მსხვილმარცვლოვანი თეთრი, ცალკე სვანური წვრილმარცვლოვანი, შვიდკვირიანი სიმინდი. ადრე მსგავსი ცდა არასდროს ჩამიტარებია, არავითარი გამოცდილება არ მქონდა. ეს ყოველივე ერთ საათში გაცნობილმა წვრილმა სვანურმა და გიგანტურმა გურულმა სიმინდმა მიკარნახეს. თორემ, ცდების მეტი რა მიკეთებია სუბტროპიკულ კულტურებში... ამირანი საგანგებოდ დავარიგე, რომ სვანური ჯიშის სიმინდის ყვავილობა შეეჩერებინა, გაყვავებული თავები წაეკვეთა.

მადლობა მაღალ ღმერთს, მისი წყალობისა და შემწეობის გარეშე არაფერი ხდება... გაგვიმართლა: რაც გავაკეთეთ, სასწაული მოჰყვა. სანერგეში სარწყავი წყალიც იყო, დასათესი ადგილიც, მოსავლის მოყვანას არავის უშლიდნენ.

...მეზობლებმა თავიანთი მოვლილი მწვანე მოზარდი სიმინდი ჩემი ბაღის თავში მდგარ ფერნაცვალ სიმინდს შეუდარეს და იწყინეს, რა დაემართათ ახვლედიანებს, სიმინდი უხმებათ, რატომ მოაკლეს მორწყვაო? მაგრამ, ახლოს რომ მივიდნენ და ასეთი მოვლილი უკვე სიმწიფეში შესული, ორორი „შანთიანი“ სიმინდი ნახეს, განცვიფრდნენ. მისი მარცვლების დანახვისას მეც გავოგნდი. მაშინ არ ვიცოდი, რომ ჩემმა შეჯვარებულმა სიმინდმა სამ თვეში, სრულიად დასრულებული მწიფე ტაროთი, თეთრი ქათქათა მარცვლით, სვანურის გემოს სურნელით სრული უფლება დაიმკვიდრა ქებული გურული სიმინდის „აჯამეთურის“ გვერდით.

ამ საადრეო სიმინდით, მეორე წელსვე სანერგის ტერიტორიაზე, იქ, სადაც წინა წლის ნამყენი ნერგები ამოიღეს, შემდეგ დაამუშავეს და ერთი წელი მუქთად უნდა დაესვენებინათ, დირექტორს თემურ დანელიას ვთხოვე, ნება მოეცა ამ მიწაზე ჩემი გამოყვანილი სიმინდის დათესვისა. მისი ნებართვით დავთესეთ. ჩემმა ძმამ ორი ტონა მოიწია, მე — სამი. ახლაც ახსოვთ, ჩემი მეზობლები სამი დღე-ღამე გვეხმარებოდნენ სიმინდის გარჩევაში ჭყინტი სიმინდის „ფასად“. მე ჭერში შენახული სიმინდი გრამი არ გამიყიდია, გაჭირვებულს, ან ამ ჯიშის სიმინდის თესლის მსურველებს ვეხმარებოდი. როცა დავრწმუნდი ამ ჯიშის სიკეთეში, მაშინდელ სოფლის მეურნეობის მინისტრს, გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ვახარე. მან შედეგი მოიწონა და თავის ნაკვეთში ლილოში ამ ჯიშით საოცარი მოსავალი მოჰყავდა. მე და ბატონმა ნოდარმა ეს ჯიში მაღალ ადგილშიც, მუხათწყაროშიც გამოვცადეთ წარმატებული შედეგით.



ჩემი გამოყვანილი სამთვიანი სიმინდი „ჩემპიონი“ დღეს მთელ საქართველოშია გავრცელებული.

გივი ახვლედიანი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

◎ თუ შავი სათვალე გიკეთია

...კაცია და გუნებაო!..

ვბეჭდავთ ანტისტალინელის დაშინებული მოთხოვნით

გორში კი სტალინის ძეგლი უნდა დარჩეს!

99 წლის წინ, 1921 წელს მეფის რუსეთის იმპერიის შეცვლილი მოდელის, ბოლშევიკური იმპერიის მოდელის წითელი ჯარის მე-11 არმიამ ლენინის განკარგულებით განახორციელა ინტერვენცია და ანექსია უყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ქართულმა ჯარმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მე-11 არმიას, რის გამოც დასაჯა საქართველო, — არ დატოვა არც ერთი მოსაზღვრე სახელმწიფო, რომელიც საქართველოს მიწა-წყლის ნაწილით არ დაასაჩუქრა. რუსეთსაც მიწა-წყლის დიდი ნაწილი, — სოჭი თავისი რაიონით ხვდა წილად.

საქართველოს მთავრობამ დატოვა ქვეყანა და თავი საფრანგეთს შეაფარა.

ლენინს სოჭის ზღვის აბაზანების მიღება არ ეღირსა, კაპლანის მიერ ნასროლი ტყვიის ჭრილობამ თავი იჩინა, გაუარესდა ჯანმრთელობა და 54 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ლენინის სიკვდილის შემდეგ ქვეყნის ძალაუფლებას დაეუფლა სტალინი, რომელმაც ქვეყანაში უფრო გაამკაცრა — არნახული, ენით უთქმელი, გაუგონარი დიქტატურა. შექმნა სახელმწიფოს მართვის ისეთი სისტემა, რომელიც ყოველივე თაოსნობის, პროგრესის დამამუხრუჭებელი იყო. საღად, სხვანაირად მოაზროვნე ადამიანებს, ტროცკის თანამოაზრეთ ციმბირში უკრა თავი.

შექმნა აგენტურის ფართო ქსელი. წარმოება-დაწესებულებებში გაჩნდნენ დამმსმენები და მუდმივი შიშის ქვეშ იმყოფებოდნენ ადამიანები.

ქვეყანაში, რომლის სახელმწიფო დროშაზე ჩაქუჩი და ნამგალი იყო გამოსახული და მუშათა და გლეხთა ქვეყნად იწოდებოდა, მუშები და გლეხები დუხჭირად ცხოვრობდნენ. გლეხებს უკვე ბრიყვი ხრუშჩოვის დროს უფლება არ ჰქონდათ ერთი სული პირუტყვის მეტი ჰყოლოდათ. იძულებული იყვნენ, კოლმეურნეობაში ემუშავათ. მოქმედებდა პრინციპი — გამოიცხე და მოგიტეხავ. ერთ შრომადღეზე 200 გრ სიმინდს ან ხორბალს აძლევდა, ოჯახს წლიდან წლამდე თავის გატანა უჭირდა.

ასეთ ვითარებაში მყოფ ქვეყანას მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა, რომელიც ფაშისტურმა გერმანიამ გააჩაღა. საფრანგეთთან, ინგლისთან და ამერიკასთან საომარ მდგომარეობაში მყოფი, სტრატეგიული გეგმის თანახმად, ემზადებოდა საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად, — პლაცდარმის შესაქმნელად დაიპყრო პოლონეთი, დაიდო საზღვარი საბჭოთა კავშირთან და 1941 წლის 22 ივნისს გადმოკვეთა ის. მტერი ბევრად ძლიერი იყო, საბჭოთა კავშირის არსებობას საფრთხე შეექმნა. ხელისუფლება იძულებული გახდა, მოკავშირეებთან ალიანსში შესულიყო, რომლებმაც დახმარების ხელი გამოუწოდეს და ამარაგებდნენ ტანკებით, თვითმფრინავებით, სურსათით.

გერმანია დამარცხდა, მოკავშირეების დახმარების წყალობით საბჭოთა კავშირი ომიდან მოღონიერებული, სამხედრო თვალსაზრისით მომძლავრებული გამოვიდა. აგენტურის საშუალებით ამერიკიდან ჩამოიტანეს ატომური ბომბის შესაქმნელი ტექნოლოგია. **„თხა გასუქდა და მგელთან ჭიდაობა მოინდომაო“**. ცივი ომის ფონზე შეუდგა გამალებულ შეიარაღებას.

სტალინი მოქმედებდა პრინციპით — ან ყველაფერი, ან არაფერი. ან გამარჯვება, ან სიკვდილი. უკვე ხანში შესულმა განიზრახა, თავის სიცოცხლეში მსოფლიოს რუკა ერთფრად — წითლად შეეღება, დედაქალაქად მოსკოვი გამოეცხადებინა.

საქართველოში ახლაც არიან ადამიანები, რომლებიც საბჭოთა კავშირს, კომუნისტურ წყობას და სტალინს მისტირიან. რას იზამ! „კაცია და გუნებაო“.

მშობლიურ ქალაქ გორში კი სტალინის ძეგლი და სახლ-მუზეუმი აუცილებლად უნდა დარჩეს! ისტორიაა!



ოთარ ჭონია,
არქიტექტორი
ტ. 571 390 592

რედაქციისგან: ამ წერილს განგებ ვბეჭდავთ, ამჟამინდელი დემოკრატიის პირობებში სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ქართველი მიუკერძოებელი მკითხველი, იმედია, სწორად შეაფასებს როგორც გაზეთის, ისე წერილის ავტორის პოზიციას. ასეთი ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაზოგადოებრივია სუყველა ანტისტალინელის აზრი, რომელთაც შავბნელად ესახებათ ჩვენი უახლოესი წარსული. სტალინმა, პირველმა კაცობრიობის ისტორიაში, სოციალისტური წყობა დაუპირისპირა კაპიტალისტურს, რომელმაც უკვე მოჭამა თავისი დრო და ასეულობით ღარიბ-ღატაკი ათეულობით მილიონერის ხელის შემყურედ აქცია. ანტისტალინელებს, ვინც ბრიყვი ნიკიტა ხრუშჩოვის მიმდევარი გახდა, ავიწყდებათ, რომ რუსი შოვინისტი ნიკიტა შუმი ქართველთმოძულე იყო და, სტალინს თუ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დაუწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, სამაგიეროდ, ბერია სიცოცხლეშივე მოსპო, გამოაცხადა რა იგი ქვეყნისა და ხალხის მტრად. ის კი არა, ამ ტუტუცმა და რეგვენმა ქართველ ხალხსაც დაუპირა ციმბირში გადასახლება. ამიტომ დასანანია, რომ რუს ნაციონალისტ-შოვინისტებს ზოგიერთი, კომუნისტებზე განაწყენებული ქართველიც აჰყოლია და შავსათვალეაფარებული აფასებს ჩვენს გუშინდელ დღეს. რას ვიზამთ, კაცია და გუნება!

მან გამოიგონა სუყოველივე, თვით ყოფაქცევის ახალ წესებამდე. მან შექმნა სამოსლის ახალი თავისუფლება და აღმოაჩინა ანდროგინულობა მოდისთვის.

სონია რიკელი

„ქალი სუყოველ მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ერთია“,

– ასე ამბობდა კოკო შანელი

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

სამუშაოს თაობაზე

დავიღალე რედიკიულის ხელში ჭერით, თანაც კიდევ სულ მუდამ ვკარგავ.

* * *

კოლექციის პრემიერის წინ კოკო შანელი შეხვდა მწერალ ქალს ედმონდ შარლ-რუს (ჟურნალ „ვოგის“ დირექტორს), რომელსაც „საბიზღრად“ ეცვა.

– ეგ რა გაცვია, ედმონდ?

– ნაჩუქარია, ძვირფასო.

– მით უმეტეს, არ უნდა ჩაგეცვა.

* * *

...სრულყოფილებას უნდა მივაღწიოთ. სხვა რამ რა შეგიძლიათ რომ შემოგვთავაზოთ? არც არაფერი. თქვენ ხომ არც როდის არც არაფერი არ გამოგიგონიათ, რამე ქულაჯაც კი. ყოველთვის ყველაფერი ჩემგან მოდიოდა. მე სულ ორი კაბა მაქვს და ამასთანავე მუდამ კარგად მაცვია. შანელიც სწორედ ეს არის.

* * *

მინდა, რომ ჩემ მიერ შეთავაზებული ხვალინდელი მოდის მიხედვით ჩაცმულ ქალებს რომ უცქერიან, კაცები ხვალინდელ დღეში დარწმუნებულნი იყვნენ. თუმცა, ქალი კი ვარ, მაგრამ იმდენად პატივმოყვარე გახლავართ, შევძლო ხვალინდელი მოდის წინასწარმეტყველება.

* * *

კოლექცია 350 მილიონი ჯდება. აი, ასეთი რამ (კაბა, რომელიც ეცვა), მხოლოდ ტილოსგან შეკერილი, სამკერვალოდან მიზომებამდე, უკვე ორასი ათასი ფრანკი ღირს. ისეთი სამოსლის ჩვენებაც შემეძლო, რომლის გადაკეთებაც 35-ჯერ იქნებოდა შესაძლებელი.

* * *

ხან ჩემს თავს ვეკითხები: ნუთუ მართლა შევქმენი რამე-მეთქი? არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. ვფიქრობ, ბევრი ადამიანი ავაფორიაქე. მოსვენებას არ მაძლევდნენ, არადა, მშვიდი ცხოვრება მინდოდა.

* * *

კუტიური კომერციაა, სულაც ხელოვნება არ არის. ჩვენ მიმწოდებელნი ვართ და ჩვენს კაბებს სურათების გალერეაში არა ვფენთ. ჩვენ მხოლოდ ვყიდით იმათ, კარგიც არის, თუ კოკო შანელს იმეორებენ. იდეები იმიტომაც არსებობს, რომ გავრცელდეს.

* * *

...ბოლოს მივადევნებ ჩემს ახალ კოლექციას, რაც იმ ყველაფრის განზოგადოება იქნება, რაც კი რამ მომიხელკეთილებია.

* * *

ჩემი სტილი კანტია და კიდევ რასმე მივამატებ, იმიტომ, რომ სწორედ ეს არის შანელი და არ დავეუარები იმას, რამაც 90 პროცენტი ზეგავლენა იქონია ჩვენი ტანსაცმლით მოვაჭრე საწარმოზე.

* * *

...მე სხვაგვარად ვივარცხნი თმას, ჟაკეტის ჩაცმა კი დღესაც შემეძლო. ერთმა ჩემმა ჩრდილოელმა კლიენტმა ქალმა ჩემს სახელოსნოში სამოსელი რამ მოიტანა, დეიდისგან მემკვიდრეობად მიღებული. ის ომამდე იყო შეკერილი, მაგრამ დღესაც შეიძლებოდა იმის ჩაცმა. სამწუხაროდ, დღეს ყველას სხვათა ყურადღების მიქცევა სწადს, იმიტომაც იჩენენ ჭიპს. ჩემი პროფესია და ხელობა... დაიღუპა ორივე.

* * *

კოლექციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ ის მომავალია.

* * *

აშპარად ნათელი, ელვარე კოლექციის შექმნა მინდა, ზოგნი ბოროტად იყენებენ შავ ფერს. ქვეყანა არ იმსახურებს იმას, რომ აიძულო გაშაოსნება.

* * *

...თქვენ მართლა მუშაობთ თუ მოსაჩვენებლად ირჯებით.

* * *

მორთული ტანსაცმელი იმ ახალი ბოსტნეულივით საღდებოდა, გვერდით რომ იყიდებოდა.

* * *

მიყვარს და ვიცი დიდხანს მუშაობა. შემიძლია თავის მოწესრიგება და შემოწმება, ოღონდ თუ არცროს მოხელსაქმების სურვილი არა მაქვს, არცერთ სულიერს და არცრას ჩემ გარშემო არ ძალუძს დამარწმუნოს და მაიძულოს იმის გაკეთება.

* * *

ქალებს იმის საშუალებას თუ მივცემთ, რომ თავისუფლად იმოძრაონ, შეგორკილად არ იგრძნონ თავი, რის ვაივაგლახით მოირგონ უხერხული სამოსელი, რასაც იცვამენ, მეტისმეტად ძნელი საქმეა. ვფიქრობ, სწორედ ამის უნარი მაქვს.

* * *

სამუშაოს შეუძლია ფულზე ბევრად მეტი კმაყოფილება მოგიტანოს. ფული ბოლოს და ბოლოს დამოუკიდებლობის სიმბოლო ხდება. ის მხოლოდ იმიტომ მიზიდავდა, რაკი ჩემს სიამაყეს ამხიარულებდა. ან ეს, ან ის ვიყიდო-მეთქი, არასოდეს არ მიცდია, სინაზის გარდა, არცრას მსურველი არა ვყოფილვარ, ოღონდ ჩემთვის აუცილებელი იყო თავისუფლების ყიდვა, ყოველგვარად მოპოვება იმისი.

* * *

როცა ხელთ ძნელი თუ უხეში რამ ქსოვილი მომხვდება, ადრე რაზეც არ მიმუშავია, ცოტა ხნით გადავდებ ხოლმე, ველოდები, როდის მომწიფდება ჩანაფიქრი თავში. ასე იყო ტვიდთან დაკავშირებით, ავდექი და იმისგან რამდენიმე მავანისთვის განკუთვნილი ტალავარი შევკერე. მერე ხელი არ მიხლია მცირე რამ ხანს. მოვიდა დრო და ის ჩემთვის „აღმოვაჩინე“.

* * *

რათა იმოქმედო და მუდმივად შექმნა რამე, უწინარესად ისეთი მეგობარი უნდა გყავდეს, რომელსაც დაეყრდნობი, მხარში ამოიყენებ.

* * *

მე ისეთ კოლექციას ვქმნი, იმედს რომ შთააგონებს ადამიანს. ხალხი შეწუხებულია, სულ საზრუნავშია. მე ფეხით ვმუშაობ, ყველაფერს ვიყენებ, რა მხიარულისა და თავშესაქცევის პოვნაც შემიძლია. უწესრიგობაში ცხოვრება არ მიყვარს. იმის მერე, რაც მუშაობა დავიწყე, არცვინ არასოდეს თავზე არ გადამხტომია.

* * *

არ შეიძლება სიახლისთვის მუდმივად თავის არიდება. მე მსიამოვნებს კლასიკური რისამე დამუშავება და კერვა. აგრე შევქმენი ჩანთა თუ ტავარჯუხი, ყოველდღე რომ იყიდება. ბევრს ჩემი დაყოლიება უნდა, ახალი ნიმუში გამოუშვიო. ვითომ რატომ? ჩემი ჩანთა უკვე ოცი წელიწადი მემსახურება და ზუსტად ვიცი, სად უნდა ჩავიდო ფული თუ სხვა რამ.

* * *

კოლექცია წარმოდგენაა. წინასწარ მესმის სამარისებური სიჩუმე, მანტოს დანახვისას რომ ჩამოვარდება, ესე იგი, მანტოს მკვეთრად გამოხატული სხვა რამ უნდა მიჰყვეს.

* * *

ზოგიერთ ქალს შემოჭერილი ტანსაცმლის ჩაცმა უყვარს. არასოდეს! მე მინდა, რომ ჩემ შეკერილ კაბაში თავისუფლად „შედიოდეს“ ქალი და მიმიფურთხებია ყოველივე დანარჩენისთვის.

* * *

მე, მადმუაზელ შანელი, თუ საპირფარეშოში შუქს ვხედავ, კარს ვაღებ და ვამოწმებ, ჩამოუშვეს თუ არა წყალი და სულაც არა ვგრძნობ თავს პატივაყრილად.

* * *

უძილო ღამის შემდეგ ვერცრას გზიანს ვერ შექმნი დღისით.

* * *

...თუ ერთხელაც მწუხარების ზედ ფსკერზე აღმოჩნდი და არცვინ სულიერი არ შეგრჩა გარშემო, არ იგულმავიწყო, რომ მუდამ გაქვს ერთი კარი, რომლის დაკაკუნებაც შეგიძლია. ეს კარი გარჯაა.

* * *

ყველას ჩვენ-ჩვენი სამუშაო გვაქვს. მთელ დღეს შიშველ მანკენებთან ვატარებ და ვეკითხები ჩემს თავს – ვითომ კაცს შეუძლია ამ ხელობის მიყოლა... მუდმივად კაბების რჩევა, მხოლოდ ქალებისთვის ზრუნვა? ვფიქრობ, შეუძლებელია.

* * *

მოდელიორები მნიშვნელოვნად არ მიმიჩნევდნენ და სავსებით მართალნიც იყვნენ. ამ ხელობისა არც არაფერი მესმოდა, თავდაპირველად ჩემს მკერავ ქალებს ვაკერინებდი კაბებს.

* * *

არ ვიცოდი, სპეციალისტები თუ არსებობდნენ, მაგრამ ეს ჩემთვის მარგებელი ჭირი გამოდგა, ყველაფერი თავად ვისწავლე, ყველაფერი, რაც უნდა ამეხსნა ჩემი მკერავი ქალებისთვის, რა როგორ უნდა მოეხელსაქმებინათ, რაც მაინცდამაინც ძნელი არ არის. მოდაში, როგორც რომ ხუროთმოძღვრებაში, მთავარი ნაწილებს შორი თანაფარდობაა. ყოველის უფრო ძნელი ისეთი კაბის შეკერვა იყო, რომლის ჩაცმაც ხუთ სულ სხვადასხვა ქალს შეეძლო, ამასთანავე, შეუმჩნეველი იყო, ხუთსავე ერთნაირი კაბები რომ ეცვა.

* * *

სავსებით მარტომ მოვახელსაქმე შანელის სახლი. სრულად არცვის არ დავუფინანსებივარ, არცვის არაფრად არ ვუღირდი. ბანკში თავდებობა მქონდა, რასაც არასოდეს არ ვაჭარბებდი. ყველაფერს ვიქმოდი, თავად ვეწეოდი ჭაპანს. თავად ვიძენდი ქონებას და თავადვე ვხარჯავდი. გამოვიგონე სუნამო „შანელი“. რა ვიცი, რაღა არ მოვახელსაქმე. არცვინ აზრზე არ არის, რამდენი რამე გამოვიგონე, ნამდვილი რევოლუცია მოვახდინე, ბედმა გამიღიმა, ყველაფერი მზად იყო ამისთვის.

* * *

ზოგიერთი რამ რომ არ მევალდებულა, სახლი დამეხურებოდა, მაგრამ ვინაიდან საქმის ბოლომდე თავის დადგმა მჩვევია... მიმიფურთხებია, ვინ რას იტყვის, ყველაფერს ვაკეთებ, რაც კი ძალმიძს.

* * *

ყოველთვის, როცა რამე ახლის მოხელკეთილებას ვაპირებ, ჩემს თავს ვეკითხები: „შენ თავად ჩაიცვამდი ამას?“ არა, შანელის გარდა, არცრის ჩაცმა არ შემიძლია.

* * *

არის ჟამი გარჯისა, არის ჟამი სიყვარულისა. არცრა სხვა დრო აღარა მრჩება.

* * *

სხვათა დაუხმარებლად ვერაფერსაც ვერ იზამ. უნდა შეგეძლოს დროზე შეჩერება. მოდა დაიღუპა. მე ისეთი ადამიანებით ვარ გარემოცული, სულ ფულის შოვნაზე რომ უჭირავთ თვალი გამოუმუშავებლად. გუშინ არასამუშაო დღე იყო (1 მაისი), ხუთშაბათსაც არ ვიმუშავებთ, ამაღლებაა. ავდექი და ვუთხარი: კარგი, თუ არ გინდათ მუშაობა, ნუ იმუშავებთ, მაგრამ ყველას მუქთახორებად ჩაგთვლით. იმათ მუშაობა არ უნდათ, მე კი სამედიცინო დაზღვევა უნდა ვუხადო.

* * *

უკეთუ იმის ქონა გინდათ, რაც მანამდე არ გქონიათ, მაშინ ის უნდა მოიხელსაქმოთ, რაც მანამდე არ მოგიხელსაქმებიათ.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-44

სამჯერ გადასახლებული და ორჯერ დაკრძალული ლევან გოთუა



10 მარტს 115 წელი შესრულდა მწერალ ლევან გოთუას დაბადებიდან.

„მსოფლიო მასშტაბის და დღემდე დაუფასებელი“, — ასე ახასიათებს მას მწერალი როსტომ ჩხეიძე.

როდესაც ლევან გოთუას წიგნები იწერებოდა, არათუ დაფასება, ცოცხლად გადარჩენაც საქმე იყო. სამჯერ დაპატიმრებულსა და გადასახლებულს თავადაც უკვირდა, ამ ყველაფერს როგორ გავუძელიო. ბოლომდე შეინარჩუნა სიმხნევე, ფიზიკური ძალა, ბავშვური გულუბრყვილობა. **„თვალებში მიყურებდა და როგორ მომატყუებდაო, ამბობდა ხოლმე“,** — იცინის მისი მეუღლე, ციცო ალხაზიშვილი.

* * *

პირველად რომ გადაასახლეს, 19 წლის იყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრი, კოჯორში მე-11 არმიის წინააღმდეგ იბრძოდა. 1924 წელს, როდესაც ხალხი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდა, ლევანი დააპატიმრეს. ამავე დროს დააკავეს მამამისი, პართენ გოთუაც. მამა-შვილი ცალ-ცალკე აიყვანეს, ამიტომ ერთმანეთის პატიმრობის შესახებ არაფერი იცოდნენ.

22 წელი პატიმრობაში

პირველი დაპატიმრების შემდეგ ლევანი სოლოვეცკის კუნძულებზე გადაასახლეს. ეს არის არქიპელაგი, რომელიც შვედეთთან ახლოს მდებარეობს. ტერიტორია უკიდურეს ჩრდილოეთს მიეკუთვნება და იქ ყინვა მინუს 30 გრადუსზე დაბლაც კი ჩამოდის. ლევანი ისე წაიყვანეს, ოჯახმა თბილი ტანსაცმლის მიწოდებაც ვერ მოასწრო. კუნძულზე 6 წელი დარჩა.

სახლში დაბრუნების ნება არც სასჯელის მოხდის შემდეგ მისცეს, ამის გამო რამდენიმე წლით ვლადიკავკაზში მოუწია დასახლებამ. საქართველოში დაბრუნებულმა სცადა, საბჭოთა კავშირიდან გაეღწია. თურქეთში გადასვლას აპირებდა, საზღვართან რომ დააპატიმრეს.

მესამე გადასახლება კი მის მეგობარს უკავშირდება. საქართველოში მორიგი დაბრუნების შემდეგ ლევანმა ალპინისტურ ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა. მთებში ხეტიალისას მეგობარს გადააწყდა, რომელიც საზღვარზე გადასვლას ცდილობდა. ლევანმა მეგობრობის ხათრით გაუშვა, მაგრამ ეს შემთხვევა გახმაურდა და მწერალი ახლა უკვე მესამედ გადაასახლეს ვორკუტაში, სადაც

ლევან გოთუა ბეთანიის მონასტერში

ლევან გოთუა, ცოლთან და შვილთან ერთად

ლევან გოთუა გადასახლებაში

„მაშინ ახალგაზრდებს უფრო ვერ იტანდნენ და გადაწყვიტეს, ლევანი დაეხვრიტათ. გამოიძახეს გოთუა. დარაჯმა პართენი მიუყვანა. უთქვამთ, ეს არა, ახალგაზრდა გვინდაო. პართენი მიხვდა, ლევანზე იყო საუბარი და ფეხებში ჩაუვარდა, ბარემ აგერ ვარ, მე მომკალითო. საბოლოოდ, აღარც პართენი დახვრიტეს. ეს ამბავი ლევანმა შემდეგ თავის „უგზო ქარავანში“ გამოიყენა“, — ჰყვება როსტომ ჩხეიძე.

„უგზო ქარავნის“ მთავარი გმირი გიორგი სააკაძეა. როსტომ ჩხეიძე ამბობს, რომ მაშინ ამ მოთხრობის დაწერას გამბედაობა სჭირდებოდა. სწორედ იმ პერიოდში სტალინმა გიორგი სააკაძეზე ფილმის გადაღება შეუკვეთა, სცენარიც თავად აარჩია და სააკაძე, რომელიც რეალურად ავკარგიანი და გაორებული პიროვნება იყო, გმირად გამოიყვანა. ამ დროს კი ლევან გოთუა წერს ნაწარმოებს, სადაც გიორგი სააკაძის რეალური სახეა აღწერილი.

ზამთარი საშუალოდ რვა თვე გრძელდება, ყინვა კი მინუს 50 გრადუსს აღწევს.

„უამრავი მზაკვრობა ნახა, უამრავი დამსმენი და პროვოკატორი, მაგრამ მაინც ბოლომდე ბავშვივით გულუბრყვილო დარჩა. ყოველთვის შეიძლებოდა მისი მოტყუება“, - ამბობს **როსტომ ჩხეიძე.**

ხის მორებით გამოტანილი რომანი

გადასახლებაში ლევან გოთუამ მაღალი ძაბვის ყუთზე აბრა „სიცოცხლისთვის სახიფათოა“ ჩამოკიდა. თავად ამ ყუთში შეძვრებოდა და ასე, ქაღალდის ნაგლეჯებზე, ასანთის კოლოფებსა და გაზეთის კიდეებზე წერდა რომანებს. ამ ნაგლეჯებს საქართველომდე რომ ჩამოეღწიათ, პატიმრები ხის მორებს გულს ამოაჭრიდნენ, შიგ ფურცლებს ჩადებდნენ და ზონიდან ასე გაჰქონდათ. ზონის გაღმა სხვა სანდო კაცი ფურცლებს ამოიღებდა და საქართველოში გზავნიდა, ადრესატი სიმონ ჩიქოვანი იყო.

„სიმონ ჩიქოვანი ამ ტექსტს აწყობდა და როდესაც ლევანი ჩამოვიდა, დაახვედრა. 11 კაცი მონაწილეობდა ტექსტის გამოტანაში. იმ 11 კაციდან ერთი მაინც რომ ყოფილილყო გამცემი, მთელი გეგმა ჩაიშლებოდა“, — ჰყვება როსტომ ჩხეიძე.

ასე ნაკუწ-ნაკუწ დაიწერა „გმირთა ვარამის“ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი, ისტორიული რომანი, განსაკუთრებული ენითა და სტილით, უშუალოდ მწერლის მიერ შექმნილი სიტყვებით... ნეოლოგიზმები ლევან გოთუას განსაკუთრებით უყვარდა და ასეთ სიტყვებს იგონებდა: **„მხარჩამოშლილი, ბადალუპოვარი, მხარჯავარი, ქვაბ-ქალაქები, ქვა-ყუთი, ქვა-კამარა, კეთილმოქალაქეობა, კეთილხმოვანი, კლდეჭერი, თვალკიაფა, ჯუჯაგულობა, ბრძენპაპა, ნადირ-კაცი...“** („ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა“, ავტორი **თამარ შაიშმელაშვილი**).

„გმირთა ვარამის“ გარდა ლევან გოთუას დაწერილი აქვს: „კრწანისის სევდა“ , „ყინწვისის ანგელოზი“, „ხანძთის ზარი“, „სიბრძნე სიკვდილისა“, „სერაფიტა“ და ასე შემდეგ.

როსტომ ჩხეიძე ამბობს, რომ ეს წიგნები ახალგაზრდებს ხშირად რთული ეჩვენებათ, რადგან ლევან გოთუას, ისევე როგორც ყველა მწერალს, შეჩვევა უნდა: **„ფოლკნერს, რა, არ უნდა შეჩვევა? შეეჩვიე! ხუთი გვერდი წაიკითხე და ისე ჩაგითრევს, ვეღარ შეელევი. ლევან გოთუა წერდა არა დამწვარ და დაბუგულ ქვეყანაზე, არამედ ისეთ საქართველოზე, როგორიც სურდა, რომ ის ყოფილიყო. ძალიან მხნეა. ვერ გრძნობ, რომ ეს დაპყრობილი ქვეყნის შვილმა და კატორღელმა დაწერა“.**

ცეკვა მწვერვალზე

„დაღლა ხერხემალს კუზივით აზის, შიმშილსაც ვგრძნობთ, მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ შოკოლადის ნატეხი ვჭამეთ. წყურვილიც გვახლავს. ცხენისწყლის სათავის შემდგომ ხომ არსად გვისვამს. რომ შევდგებით, ცივა, ცივა, ქარი გველივით სრიალებს და საყელოს ეძებს. მწყურია... მეტად მწყურია. პეშვით თოვლს ავიღებ... დავმუჭავ და ვწუწნი“, — ეს ლევან გოთუას მოგონებებიდანაა. ის ამ დროს ერთ-ერთ ექსპედიციაშია, ალპინისტ ალიოშა ჯაფარიძესთან ერთად უმოწყალოდ იყინება. ფილოლოგი თამარ შაიშმელაშვილი წერს, რომ ამ დროს ლევანმა თავის სიცოცხლეში პირველად იცეკვა. რომ არ ემოძრავათ, დილამდე ვერ გაატანდნენ.

„...ლევან გოთუა მთასავით კაცია, მთებშიც არ იჩქმალება მისი გოლიათობა. მთაზე მცოცავი მთაა“, — თქვა ერთხელ ედიშერ ყიფიანმა.

ლევანი სულით ხორცამდე მოგზაური იყო, ყველგან დადიოდა, ხან ახალგაზრდებთან ერთად, ხან — მარტო, ხან — საკუთარი პერსონაჟების ნაცვლად. სურდა, იგივე ეგრძნო, რასაც მისი გმირები გრძნობდნენ.

თამარ შაიშმელაშვილი თავის ნაშრომში წერს, სადაც უსახელო მწვერვალს ნახავდნენ, ავიდოდნენ და, პირველდამპყრობლის პრივილეგიით, ქართველი კლასიკოსების სახელებს არქმევდნენო. ასე გაჩნდა ვაჟას, აკაკის, ილიას სახელობის მწვერვალები. ერთი ექსპედიცია ხვამლის მთასაც ერგო, იქ მეფეების საიდუმლო სამალავის პოვნა უნდოდათ. საერთოდ, ძალიან უყვარდა გამოქვაბულები და მიაჩნდა, რომ მათში ბევრი რამ იყო ყურადღების ღირსი.

1944 წელს კაცხის სვეტზეც ავიდა, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ფეხი არავის დაედგა. უკანასკნელი მესვეტისგან მხოლოდ ძვლები იყო დარჩენილი. ლევანმა შეაგროვა და აკლდამაში დაიწყო.

გვიან შექმნილი ოჯახი

„როდის უნდა მოესწრო ოჯახის შექმნა? ჩამოვიდოდა რამდენიმე წლით, დაიჭერდნენ, გააგზავნიდნენ... დაიჭერდნენ, გააგზავნიდნენ... ალბათ, არც ფიქრობდა ამაზე, არ უნდოდა ცოლ-შვილი დაეტანჯა“, — ამბობს ლელა გოთუა. ის რომ დაიბადა, ლევანი 61 წლის იყო.

ხრუშჩოვის პერიოდში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ლევან გოთუა გაათავისუფლეს, მაგრამ იმ პირობით, რომ საქართველოში არ ჩავიდოდა და იქვე დასახლდებოდა. ლევანი არ დათანხმდა: ჩემთვის თავისუფლება სამშობლოში დაბრუნებაა და ამას თუ ვერ შევძლებ, ბანაკიდან არ გავალ, რაღა ღობის იქით მიცხოვრია და რაღა ღობის აქეთო. საქმე ისევ განიხილეს და ამჯერად ხრუშჩოვმა ნება მისცა, საქართველოში დაბრუნებულიყო.

დაბრუნდა და მხოლოდ მაშინღა შეირთო ცოლი, თავისზე 22 წლით უმცროსი ციცო ალხაზიშვილი.

„ყველაფრის მცოდნე, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი ადამიანი იყო. თავიდან თქვენობით ველაპარაკებოდი, ვერ ვამბობდი — „შენ“. 12 წელი ვიყავით ერთად, მაგრამ ეს ყველაფრით სავსე 12 წელი იყო, ყველგან დავყვებოდი“, — ამბობს ის.

მწერალი უკვე რეაბილიტირებული იყო და მასთან სტუმრად მისვლის აღარ ეშინოდათ. შვილს, ლელას, მაშინდელი სახლი სწორედ ასეთი, სტუმრებით სავსე, დაამახსოვრდა:

„ძალიან მიყვარდა დილაობით მისი გაღვიძება. ცხვირში მოვკიდებდი ხელს, შევაჯანჯღარებდი და ვეუბნებოდი, ზღაპარი მომიყევი-მეთქი. თავის მოგონილ ზღაპრებს მიყვებოდა, მაგრამ არ დამამახსოვრდა. ძალიან პატარა ვიყავი“.

ლევან გოთუა 1973 წლის 30 იანვარს ინსულტით გარდაიცვალა. დაკრძალეს არმაზში, მისივე სახლის ეზოში. მოგვიანებით მისი ნეშტი სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში იქნა გადასვენებული.

თეა თოფურია

63-ე საყოველთაო ნათლობა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის მიერ ახალდაბადებული მესამე და შემდგომი ბავშვის მონათვლის 63-ე ეტაპი იწყება.

ნათლობის მსურველთა რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს საპატრიარქოში 18 მარტიდან 22 მარტის ჩათვლით 12:00 საათიდან 16:00 საათამდე.

„რეგისტრაციის მსურველებმა თან უნდა იქონიონ: მშობლების პირადობის მოწმობების ასლები; მშობლების ჯვრისწერისა და ქორწინების მოწმობების ასლები; შვილების დაბადებისა და ნათლობის მოწმობების ასლები; მოსანათლის ორი ფოტო 3X4-ზე დაბეჭდილი CD დისკით; ოჯახის ერთი ფოტო 10x15-ზე დაბეჭდილი CD დისკით“, — აღნიშნულია საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციაში. კითხვების შემთხვევაში, მოქალაქეებს დაკავშირება შეუძლიათ შემდეგ ნომრებზე — 593 900 810; 558 651 159; 593 464 571.

თმის საფარი და... სქესობრივი შერჩევა

ცნობილია: თმის ერთიანი საფარი ადამიანებმა ევოლუციის მსვლელობისას დაახლოებით მილიონ 200 ათასი წლის წინათ დაკარგეს. ავსტრალიის კვინსლენდის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად, მეცნიერებმა განაცხადეს: ეს მოხდა... ქალების „ინიციატივით“: პარტნიორის არჩევისას ისინი უპირატესობას ნაკლებად ბანჯგვლიან მამრებს ანიჭებდნენ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მკბენარა მწერები (ტილები, ტკიპები და ა.შ.), რომლებიც თან ინფექციურ დაავადებათა გადამტანები არიან, ბალნიანებში უფრო მეტად იბუდებენ.

ფსიქოლოგებმა ერთობ საგულისხმო ექსპერიმენტი მოიფიქრეს. იმისთვის, რომ გაერკვიათ, თუ რა იზიდავს უფრო მეტად მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს მამაკაცებში, მათ სამი ახალგაზრდა შეარჩიეს, რომელთა სახეებსაც კომპიუტერული გრაფიკის მეშვეობით ცვლიდნენ. ზოგიერთ ფოტოზე ისინი სუფთად გაპარსულები იყვნენ, ზოგიერთზე — წვერულვაშით. გარდა ამისა, ზოგიერთ ვარიანტში მხატვრები ჭაბუკების სახეების ნაკვთებს „აქალურებდნენ“, ზოგიერთში კი, პირიქით, „ამამაკაცურებდნენ“... საბოლოო ანგარიშით, თითოეულ სახეს ათი ვარიაცია ჰქონდა.



ამის პარალელურად, ქალები დაწვრილებით ანკეტას ავსებდნენ, სადაც იმ რაღაცებს აღწერდნენ, რაც მათში ზიზღს იწვევდა. ეს „ანგარიშები“ მკვლევარებმა შემდეგ ოთხ კატეგორიად დაყვეს. **პირველში** მოხვდა ყველა მკბენარა პარაზიტი; **მეორეში** — ისეთი პათოგენები, როგორებიცაა, მაგალითად, დაუბანელი ტანი, ობიანი საჭმელი, ძაღლების სკორე, რომელშიც კაცი ფეხს დგამს...; **მესამეში** თავი მოიყარეს „უზნეო ყოფაქცევის“ მაგალითებმა, მათ შორის, გამოცდებზე ცუღლუტობამ, ცოლ-ქმრულმა ღალატმა, მაღაზიებში ქურდობამ და ა.შ.; **მეოთხეში** კი სექსუალურ სფეროში მიუღებელი რამეები აღმოჩნდა, კერძოდ, ორალური და ანალური სექსი, ვითარება, როცა უნებლიეთ უცხო წყვილის ინტიმური ურთიერთობების მოწმე ხდები და სხვ.

აღმოჩნდა, რომ იმ ქალთა უმრავლესობას, ვისაც ჭკუიდან შლის უზნეობა, ყველაზე მეტად ვაჟკაცური გარეგნობის წვერულვაშიანი მამაკაცები მოსწონთ: მანდილოსნები მათ დომინანტ მამრებად აღიქვამდნენ. მაგრამ, იყო ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისიც: ის ქალბატონები, ვის განსაკუთრებულ ზიზღს პარაზიტები იწვევდნენ, უპირატესობას სუფთად გაპარსულ მამაკაცებს ანიჭებდნენ.

ამდენად, აღნიშნული კვლევა პირველი დასტურია იმისა, რომ **თმის საფარს ადამიანები სქესობრივი შერჩევის წყალობით შეელიენ, აცხადებენ მკვლევარები.**

საფრანგეთში ერთი მეტად საგულისხმო ტრადიცია არსებობს: ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ერის ყველაზე ლამაზ ქალბატონს ირჩევენ, რომელიც რესპუბლიკის სიმბოლოს — ფრიგიული თავსაბურიანი მარიანას სკულპტურული პორტრეტის მოდელი ხდება.

შემდეგ მთელი ათწლეულის მანძილზე მარიანას ეს გამოსახულება სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონის დაწესებულების აუცილებელი ატრიბუტი ხდება. მას საფოსტო მარკებზე ბეჭდავენ, მარიანას პროფილი კი სახელმწიფო ბეჭედზეც კია ამოჭრილი.

სხვადასხვა წლებში ქვეყნის დიდი თუ პატარა ქალაქების მუნიციპალიტეტებსა და სასამართლოებს ამშვენებდა ულამაზესი ფრანგი ქალბატონების — **მიშელ მორგანის, მირეი მატიეს, კატრინ დენევის, ლეტიცია კასტასა** და **სოფი მარსოს** გამოსახულებები. ყველაფერი კი 1968 წელს დაიწყო, როცა პირველი მარიანას მოდელი საქვეყნოდ ცნობილი კინომსახიობი, მთელი ეპოქის სექს-სიმბოლო **ბრიჯიტ ბარდო** გახდა, რომელსაც 2019 წლის სექტემბერში 85 წელი შეუსრულდა.

ბრიჯიტის ჯაღოსნური მარდასახვა

საგულისხმოა, რომ მაღალი საზოგადოების მდიდარ ოჯახში დაბადებული ბრიჯიტი ბავშვობაში საკმაოდ უშნო და თანაც მავნე ბავშვი იყო, მშობლები მის ლამაზ უფროს დას უფრო ეფერებოდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ულამაზო ჭუკი მშვენიერ გედად იქცა...

„ბედნიერების მრუდი“

მაინც რა ასაკში გრძნობს კაცი თავს ყველაზე ბედნიერად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დარტმუტის (დიდი ბრიტანეთის) კოლეჯის პროფესორმა დევიდ ბლანჩფლაუერმა 132 ქვეყნის ნახევარი მილიონი პირის საანკეტო მონაცემები შეისწავლა.

მოხალისეები ერთსა და იგივე კითხვაზე პასუხობდნენ: „რამდენად კმაყოფილი ხართ ცხოვრებით ამჟამად?“, რის შედეგად, მკვლევარებმა „U“-სებრი ფორმის გრაფიკი, ე.წ. „ბედნიერების მრუდი“ მიიღეს.

მისი წაკითხვით გაირკვა, რომ **ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მადლიანი ხანაა 20 წელი და მოწიფულობის ასაკი, როცა იგი 65 წლის ზღუდეს გადადის, უბედურებათა და ტანჯვათა პიკი კი, თურმე, 47,2 წელზე მოდის...**

მიღებული მონაცემების ახსნა ასეთია: 20 წლის ასაკში კაცს მოსაცდელი დრო აქვს, თანაც იმედია, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. მაგრამ, როცა კაცი შუახნის ასაკს აღწევს, ხვდება, რომ სასწაულს არ უნდა ელოდოს. ამიტომაცაა, რომ ამ ასაკში უმეტესობა საკუთარი თავის უკმაყოფილოა. მაგრამ, გადის დრო და ასაკის მატებასთან ერთად, იცვლება თვითშეფასებაც: თუკი 47 წლის ადამიანი საკუთარი თავის უკმაყოფილოა, 60 წლისა იგი გეტყვით, რომ იმ დროს ყველაფერი არცთუ ცუდად იყო! ამის მიზეზი ისაა, რომ დროთა განმავლობაში ადამიანები საკუთარი ნაბიჯების ხელახლა გააზრებას სწავლობენ.

დიაგნოზი... დაყნოსვით

დიდი ბრიტანეთის მილტონ ქეინსის საუნივერსიტეტო საავადმყოფოში ჩატარებული კლინიკური გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ შემთხვევათა 93 პროცენტში პროსტატის კიბოს აღმოჩენა ძაღლებს შეუძლიათ.

ამჟამად ამ სნეულებაზე ეჭვმიტანილი პაციენტები პროსტატოსპეციფიკური ანტიგენის (პსა) დონის დადგენის ტესტებს გადიან, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, შედეგი მცდარია. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ძაღლებს კიბოს დადგენა ავადმყოფთა შარდის დაყნოსვით შეუძლიათ. ამ ტესტის სიზუსტე 93 პროცენტია. გარდა ამისა, ძაღლებს სხვა სნეულებათა, მათ შორის, დიაბეტის, ეპილეფსიის დადგენაც შეუძლიათ.

ძაღლის ცხვირი მეტად მგრძნობიარეა: მასში 300 მილიონი ყნოსვითი რეცეპტორია განთავსებული. შედარებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ადამიანს მხოლოდ 5 მილიონი ასეთი რეცეპტორი აქვს.

საგულისხმოა ისიც, რომ თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში ცნობილია შემთვევები, როცა სერიოზულ დაავადებათა დიაგნოსტირებასა და მკურნალობაშიც კი (!) თავიანთი წვლილი არა მარტო ძაღლებს, არამედ კატებსაც და ცხენებსაც შეუტანიათ.

თუ კაცი ექიმად არ დაიბადა...

მშობლები ხშირად ოცნებობენ პროფესიულ საქმიანობაში შვილები მათ გზას გაჰყვნენ, მაგრამ, ამას წარმატება რამდენად ხშირად მოჰყვება?

უწინ ბევრი პროფესია მემკვიდრეობით გადადიოდა — უფროსი თაობა შვილებს თავის ხელობას ასწავლიდა. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში თითქმის ყველა პროფესია მემკვიდრეობითი იყო. იმ დროს სკოლები იშვიათობას წარმოადგენდა, თანაც უმეტესწილად გადამწერები სწავლობდნენ, რადგან ეს ძალზე რთული საქმე იყო. წარმატების მისაღწევად 700-ზე მეტი იეროგლიფი იყო დასასწავლი, დასამახსოვრებელი იყო წერის სხვადასხვა ხერხი — გამარტივებული, კალიგრაფიული, ჩქარი. თუმცა, ამ სკოლების მოსწავლეებიც, როგორც წესი, გადამწერთა ოჯახების შვილები იყვნენ, რადგან საწყისი ცოდნის უქონლად იქ მოხვედრა შეუძლებელი იყო. მხოლოდ მე-5 საუკუნეში დაიწყეს ამ სასწავლებლებში ყველა მსურველის მიღება, ვისაც კი ძალიან ძვირი სწავლის საფასურის გადახდა შეეძლო.



ცოდნის მემკვიდრეობის გადაცემის პრინციპი ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საბერძნეთსა და რომში. უფრო მეტიც, ზოგჯერ პროფესია არა მხოლოდ ერთ ოჯახს, არამედ მთელ სოფელს ეკუთვნოდა. მაგალითად, ბერძნული კუნძულის კოსის უკლებლივ ყველა მცხოვრები ძველ დროს ექიმები იყვნენ, ისინი თვლიდნენ, რომ თავად მედიცინის ღმერთის ასკლეპიოსის შთამომავლები იყვნენ. **ბერძნებს მიაჩნდათ, რომ იმისთვის, რათა კაცი ექიმი გახდეს, ისეთად უნდა დაიბადოს, სხვა შემთხვევაში სწავლა შედეგს ვერ გამოიღებს.** სხვათა შორის, ამ კუნძულის ყველაზე სახელგანთქმული ექიმი და მეცნიერი **ჰიპოკრატე** გახლდათ.

ვაინშტაინი – სექსუალური მოძალადე

ჰოლივუდელ პროდიუსერს, 67 წლის ჰარვი ვაინშტაინს სექსუალური ძალადობისთვის 23 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

გასულ თვეში ჰარვი ვაინშტაინი სექსუალური ძალადობის ორ ეპიზოდში ცნეს დამნაშავედ.

კერძოდ, ჰარვი ვაინშტაინი დამნაშავედ მიიჩნიეს მესამე ხარისხის გაუპატიურებასა და პირველი ხარისხის დანაშაულებრივ სექსუალურ აქტში. 67 წლის ჰარვი ვაინშტაინის წინააღმდეგ გამოძიება კიდევ ორი ქალზე სექსუალური ძალადობის საქმეზე მიმდინარეობს.

ჰარვი ვაინშტაინის წინააღმდეგ გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც 2017 წლის ბოლო ის არაერთმა ქალმა სექსუალურ შევიწროებაში დაადანაშაულა. მის წინააღმდეგ ბრალდებები ათობით ქალმა გამოთქვა, მათ შორის ცნობილმა მსახიობებმა გვინეტ პელტროუმ, ანჯელინა ჯოლიმ და სალმა ჰაიეკმა.

◎ რას ვიზამთ...



თბილისშიც - უმაყურებლოდ

რაგბი ევროპის ჩემპიონატის ბოლო შეხვედრას საქართველოს ნაკრები რუსეთის წინააღმდეგ ცარიელი ტრიბუნების ფონზე გამართავს. აღნიშნული ინფორმაცია გუშინ რაგბის კავშირმა ოფიციალურად დაადასტურა.

„ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენ ყოველდღიური კონსულტაციები გვაქვს როგორც საქართველოს მთავრობასთან, ასევე დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 14 მარტს, საქართველოსა და რუსეთის მატჩი გაიმართოს მაყურებლის გარეშე“, — ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა რაგბი ევროპაზე 4 შეხვედრა ჩაატარა და 19 ქულით ვადამდე მეთორმეტედ გახდა ჩემპიონი, „ბორჯღალოსნებისა“ და რუსეთის მატჩი კი ხვალ მიხეილ მესხის სტადიონზე 16 საათზე დაიწყება.

კობა კობახიძე

◎ ვითარება



NBA-ს შეწყდა

ნაციონალური **საკალათბურთო ასოციაციის მიმდინარე სეზონი გაურკვეველი ვადით შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება NBA-მ მას შემდეგ მიიღო, რაც „იუტა ჯაზის“ კალათბურთელ რუდი გობერს კორონავირუსი დაუდასტურდა.**

გუშინ „იუტა ჯაზს“ „ოკლაჰომასთან“ შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა, თუმცა, მატჩი დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გადაიდო.

როგორც ამერიკული პრესა წერს, რუდი გობერის გარდა კორონავირუსი კიდევ ერთ კალათბურთელს ემანუელ მუდიეისს დაუდასტურდა. წყაროს ცნობით, გობერი ჟურნალისტების მიკროფონებსა და ჩამწერებს შეეხო და ისე დაინფიცირდა.

აქვე გეტყვით, რომ „კლივლენდის“, „ნიუ იორკის“, „ბოსტონის“, „დეტროიტ პოსტონსისა“ და „ტორონტოს“ კალათბურთელები საკარანტინო პერიოდს გაივლიან, რადგან მათ ბოლო 10 დღის განმავლობაში „იუტა ჯაზის“ წინააღმდეგ ითამაშეს.

ვიტალი ჯაფარიძე

დანართი №1 (5 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2020 წლის „06 მარტი“
№ 01-01-3/49 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N257ა	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	5 000 m^3	84,00	230,00
2	ქ.ბათუმი, ადლიის დასახლება	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	2 000 m^3	34,00	215,00
3	ქ.ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ.N24	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	95 000 m^3 ორ ჭაბურღილზე	1 593,00	700,00
4	ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N249ა	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	1 000 m^3	17,00	207,00
5	ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N258	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	85 000 m^3	1 425,00	650,00
6	ქ.ბათუმი, კახაბრის ქ. N48	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	2 000 m^3	34.00	215,00
7	ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N380	მიწისქვეშამტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	2 500 m^3	42,00	220,00
8	ქ.ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N97	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	18 500 m^3	310,10	300,00
9	ქ.ბათუმი, ბაგრატიონისა და სულაბერიძის ქუჩების კვეთა	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	700 m^3	12,00	205,00
10	ქ.ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, კოწია ერისთავის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	6 000 m^3	101.00	240,00
11	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ოჩხამური, სოფელი ცეცხლაური	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	14 600 m^3 ორ ჭაბურღილზე	245,00	274,00
12	ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის ქ.N 3	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	30 000 m^3	503,00	351,00

◎ ტოკიო 2020

საბერძნეთში ოლიმპიური ცეცხლი აანთეს

საბერძნეთში, ანტიკურ ოლიმპიაში გუშინ 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ცეცხლის დანთების ტრადიციული ცერემონია მოეწყო. თავდაპირველად აჟღერდა იაპონიისა და საბერძნეთის სახელმწიფო ჰიმნები, აღიმართა ამ ქვეყნების სახელმწიფო დროშები.

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა ოლიმპიის მერი გეორგიოს გეორგიოპულოსი, ხოლო სიტყ-

13	ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის ქ.N 3ა	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	60 000 მ³ ორ ჭაბურღილზე	1006,00	510,00
14	ქ.ბათუმი, კოწია ერისთავის ქ.N29ᵃ	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	60 000მ³	1006,00	510,00
15	ქ.ბათუმი, ფანასკერტელ-ციციშვილის ქ.N18	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	1 095 მ³	18,40	206,00

სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით
	სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობითა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო ნომერი	245429200
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2020 წლის 05 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 07 აპრილს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2020 წლის 07 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 07 აპრილს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ

ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲡ (ᲛᲔᲙᲐᲠᲘᲡ) ᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ გამოთქმის პერიფრაზს თუ მოვიშველიებთ, მეკარეს შეუძლია როგორც აგაშენოს, ისე დაგაქციოს.

ეს რომ ასეა, ფეხბურთის სამშობლოში დადგმული დრამაც მოწმობს, სადაც ჩემპიონთა ლიგის ან უკვე ყოფილი გვირგვინოსანი სწორედ გოლკიპერმა დაღუპა.

„ლივერპული“ — „ატლეტიკო“ 2:3 (დამატებით დროში. ძირითადი დრო — 1:0).

გოლები: ვეინალდუმი, ფირმინო; ლორენტე — 2, მორატა.

(პირველი მატჩი — 0:1)

როგორც მოგეხსენებათ, შარშან იურგენ კლოპის გუნდმა სასწაული მოახდინა და „ბარსელონას“ „ენფილდზე“ სამბურთიანი დეფიციტი აღმოუფხვრა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ბევრს აღნიშნული წყვილის საპასუხო მერვედფინალური რაუნდი ფორმალობად მიაჩნდა და დარწმუნებული იყო, რომ მერსისაიდელებს სასურველი შედეგით რევანშის აღება არც ამჯერად გაუჭირდებოდათ, მით უმეტეს პირველი შეხვედრის სტუმრად მინიმალური ანგარიშის დათმობის შემდეგ.

მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ ასეთი ვარაუდი სავსებით საფუძვლიანად გამოიყურებოდა — მაგალითად, მასპინძლებმა მთელი მატჩი შეტევებში გაატარეს და მეტოქის კარისკენ 16(!) კუთხური ჩააწოდეს, მაგრამ ესპანელთა სლოვენიელ მეკარე ობლაკს ვერაფერი მოუხერხეს — ორი აუღებელი დარტყმის გარდა, იგი გაუვალი გახლდათ მაშინ, როცა მისმა კოლეგა ადრიანმა თამაშის საკვანძო ეპიზოდში საბედისწერო შეცდომა დაუშვა და თანამემამულეებს ძვირფასი საჩუქარი უძღვნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრძოლის ბედი რეზერვისტებმა გადაწყვიტეს.

„პარი სენ-ჟერმენი“ — „დორტმუნდი“ 2:0
გოლები: ნეიმარი, ბერნატი
(პირველი მატჩი — 1:2)

ნისლიანი ალბიონისგან განსხვავებით, საფრანგეთის დედაქალაქში გამართულმა მატჩმა უმაყურებლოდ ჩაიარა, რაშიც კორონავირუსია დამნაშავე. მართალია, ფავორიტად მიჩნეულმა ტუხელის სამწყსომ გერმანელი სპეციალისტის ყოფილ შეგირდებთან მასზე გაცემული ავანსები გაამართლა, მაგრამ არა გვგონია, ასეთი რანგის სპექტაკლებს ცარიელი ტრიბუნები უხდებოდეს. ვფიქრობთ, იბადება სავსებით ლოგიკური კითხვა — ხომ არ აჯობებს, უეფამ ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირი ვითარების გაუმჯობესებამდე გარკვეული ვადით შეაჩეროს?

რადგან ვერაგი ვირუსი ვახსენეთ, დავძენთ, რომ იგი ოფიციალურად დაუდასტურდა იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ მცველ რუგანის, ხოლო მისი თანაკლუბელი კრიშტიანუ რონალდუ პორტუგალიაში, მშობლიურ კუნძულ მადეირაზე კარანტინშია გადაყვანილი. მისი თვითიზოლაცია სწორედ რუგანის უკავშირდება — მათ „სერია-ა“-ს უკანასკნელ შეხვედრაში მილანის „ინტერთან“ გასახდელის ერთი ოთახით ისარგებლეს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ

ვით გამოვიდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი თომას ბახი, საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი სპიროს კაპრალოსი და ტოკიო 2020-ის წარმომადგენელი ტოშიაკი ენდო. ამის შემდეგ ჰერას ტაძრის ნანგრევებთან შედგა ცეცხლის დანთების რიტუალი და მხატვრული წარმოდგენა, ბოლოს კი ოლიმპიური ცეცხლი გადაეცა პირველ მეჩირაღდნეს. ცერემონია ცეცხლოვანი ესტაფეტით დასრულდა.

ᲑᲔᲭᲐᲜ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

ანსამბლი „სუხიშვილები“ უკრაინაში გასტროლებს წყვეტს

ეროვნული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“ კორონავირუსის გამო, უკრაინაში გასტროლებს წყვეტს. ამის შესახებ განცხადებას „სუხიშვილები“ სოციალურ ქსელში აქვეყნებენ, მათივე ინფორმაციით, უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ, დასის ყველა წევრი თვითიზოლაციაში იქნება და რეკომენდაციებით გათვალისწინებულ ყველა წესს დაიცავენ.

„ჩვენო ძვირფასო გულშემატკივრებო! როგორც იცით, ანსამბლი 1 თებერვლიდან ვიმყოფებით საგასტროლო მოგზაურობაში. დიდი წარმატებით ჩავატარეთ 37 კონცერტი პოლონეთის, რუმინეთის, მოლდოვისა და უკრაინის ქალაქებში. 6-10 მარტს კიევის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელიც 4000-მდე მაყურებელს იტევს, სრული ანშლაგით გავმართეთ 5 კონცერტი. გუშინ უკრაინის მთელ ტერიტორიაზე კორონავირუსით გამოწვეული საფრთხის გამო ოფიციალურად გამოცხადდა კარანტინი, რის გამოც ვწყვეტთ ტურნეს და ჩვენი პროდიუსერები ყველა ღონეს ხმარობენ რომ უახლოესი რეისით დაგვაბრუნონ საქართველოში.

საბედნიეროდ, დღეის მდგომარეობით გასტროლებზე მყოფ დასის არც ერთ წევრს არ აღენიშნება ვირუსის სიმპტომები! აქვე გვინდა გითხრათ, რომ მართალია, უკრაინა არ შედის მაღალი რისკის მქონე ქვეყნების რიცხვში, ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ ვირუსით შესაძლო ინფიცირების რისკებს და ზუსტად დავიცავთ ყველა საჭირო რეკომენდაციას - ჩამოსვლისთანავე გავივლით სავალდებულო შემოწმებას და დავიცავთ თვითიზოლაციის წესს, რისკენაც მოვუწოდებთ სხვებსაც. ასევე გაცნობებთ რომ მოიხსნა თბილისში 3 და 4 აპრილს დაგეგმილი ანსამბლის 75 წლის საიუბილეო კონცერტები, რომელსაც აუცილებლად გავმართავთ უახლოეს მომავალში. ნუ მივეცემით პანიკას და მთავარია, დავიცვათ რეკომენდაციები ინფექციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად! ჯანმრთელობას გისურვებთ!“

სიყვარულიც ამას ჰქვია

ბერნადეტ ადამსი მის კომაში მყოფ ქმარს, ფრანგ ფეხბურთელ ჟან-პიერს 38 წელია, უვლის.



ადამსი, რომელიც საფრანგეთის ნაკრებში თამაშობდა, კომაში 1982 წლის 17 მარტიდან ოპერაციის დროს ექიმის შეცდომის გამო ჩავარდა. მას შემდეგ ქმარზე ზრუნვა ბერნადეტმა დაიწყო. ადამსს, რომელსაც 10 მარტს 72 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად სუნთქვა და ჭამა შეუძლია, თუმცა ვერ ლაპარაკობს და ვერ დადის.

„მისთვის მაისურებს ან სვიტრებს ვყიდულობთ ხოლმე, იმიტომ რომ საწოლში ვაცმევ - ტანსაცმელს ყოველდღე იცვლის. ლამაზ ზეწრებს და სუნამოსაც ვყიდულობ. ადრე PacoRabanne-ის არომატი უყვარდა, მაგრამ მას აღარ უშვებენ, ამიტომ ახლა Dior-bcSauvage-ს ვყიდულობ“, — ჰყვება ბერნადეტი. ის ქმარს საავადმყოფოში პრაქტიკულად ყოველდღე უვლის. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ბერნადეტი ღამეს სახლში არ ატარებს, ჟან-პიერს განწყობა ეცვლება.

„გრძნობს, მე თუ არ ვაჭმევ. მომვლელები ყოველთვის ამას მეუბნებიან. მგონი რაღაცას გრძნობს. ჩემ ხმასაც ცნობს“, — ამბობს ის.

როცა საავადმყოფოში ქმრის მოხუცებულთა თავშესაფარში გადაყვანა შესთავაზეს, ბერნადეტმა უარი თქვა და აღნიშნა, რომ მასზე კარგად ჟან-პიერს ვერავინ მოუვლის. მას შემდეგ მან ქმარი სახლში გადაიყვანა და მასზე თვითონ ზრუნავს. ექიმების პროგნოზით, ჟან-პიერის გამოჯანმრთელების შანსები პრაქტიკულად არ არსებობს.

უკრაინელი ვანდალები ვატიკანში

უკრაინელმა ტურისტებმა ვატიკანში რაფაელის 1511 წლის ფრესკა დააზიანეს. ინფორმაცია სოციალურ ქსელებში ვრცელდება. ფრესკა „ათენის სკოლა“ ვატიკანის მოციქულთა სასახლის ერთ-ერთ დარბაზშია მოთავსებული. აღმოჩნდა, რომ მასზე წარწერაა ამოტვიფრული: „ლენა ტამარა ვინნიცა“.

მოგვიანებით გაირკვა, რომ წარწერა ფრესკაზე 5 წლის წინ გაჩნდა, თუმცა ამ დრომდე უცნობია, ვინ არიან ლენა და ტამარა ვინნიციდან.

სანთელი

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მეცნიერ-თანამშრომელ მანანა მალანიას მამის

ამბროსი მალანიას

გარდაცვალების გამო.

მდინარე სკინტავაში ნაკადულის კალმახი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ველური ბუნების სააგენტომ საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობა ნაკადულის კალმახის 20 000-მდე ლარვა იმერეთის რეგიონში, მდინარე სკინტავას სათავეში გაუშვა. ასევე, მდინარეში ნაკადულის კალმახის ქვირითი თვალების სტატიაზე განთავსდა, რაც ველური პოპულაციის თანამედროვე მეთოდით მიღებას გულისხმობს. სააგენტოს მიზანია, ადამიანის მიზერული ჩარევით იშვიათი სახეობა ნაკადულის კალმახის პოპულაციის აღდგენა ბუნებაში.

2016 წლის სექტემბრიდან ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ახალ პროექტს ახორციელებს, რომელიც საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობის, ნაკადულის კალმახის გამრავლებას ითვალისწინებს. ამ მომენტისთვის, ნაკადულის კალმახის 100000-მდე ლარვაა მიღებული. სააგენტოს გეგმა წელიწადში ნახევარი მილიონი ლიფსიტის წარმოება და მდინარეების გათევზიანებაა.

ნაკადულის, ანუ მდინარის კალმახი 2006 წელს „წითელ ნუსხაში“ მოხვდა. მინიჭებული აქვს მოწყვლადის კატეგორია. მსგავსი ტენდენცია ევროპის არაერთ ქვეყანაშია, რის გამოც პოპულაციის ხელოვნური გამრავლება და მდინარეთა დათევზიანება ხდება.

მესტიის აეროპორტში ჰელისკის ვერტმფრენი დაბანაკდა

ერთი თვის განმავლობაში მესტიის აეროპორტში კომპანია ჰელიქსირის EURO copter AS 350 ტიპის ვერტმფრენი იქნება ბაზირებული. ვერტმფრენი ჰელისკი მომსახურებისთვის არის განკუთვნილი, რაც საჰაერო ხომალდთან ერთად კვალიფიციური გიდის დახმარებით მთის ფერდობებზე გაუკვალავ თოვლში სრიალს გულისხმობს. ვერტმფრენი გერმანული კომპანია HTM ეკუთვნის, მისი დახმარებით სვანეთში ჩასული ტურისტები სრიალს ჰაწვალსადა თეთნულდზე შეძლებენ.

კომპანია ჰელიქსირი გუდაურში 10 წელია, ჰელიკსი მომსახურებას ეწევა. ჰელისკი ტურისტული საქმიანობის დაწყებას ახლა უკვე მესტიაშიც გეგმავს. ოპერირებას მარტსა და აპრილში მესტიის აეროპორტიდან დაიწყებს, სადაც ჰელიქსირის ბაზა იქნება განთავსებული.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8791; ევრო - 3.2591;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7218;
100 რუბლი - 4.0224; თურქული ლირა - 0.4668;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6957;
1000 სომხური დრამი - 5.9609.

ამინდი 13 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+17
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+1	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+9,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge